

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №356

2021 წლის 13 ივლისი

ქ. თბილისი

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021 – 2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021 – 2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული:

1. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021 – 2030 წლების სახელმწიფო სტრატეგია (დანართი 1).
2. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021 – 2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა (დანართი 2).

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

სარჩევი

I. შესავალი.....	3
სტრატეგიის პრიორიტეტები.....	7
სტრატეგიის შემუშავების მეთოდოლოგია	7
II. სტრატეგიის სამართლებრივი ჩარჩო	11
III. სიტუაციის მიმოხილვა.....	13
IV. სტრატეგიის გრძელვადიანი ხედვა, მისია და ღირებულებები.....	39
V. სტრატეგიული პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები	40
სტრატეგიული პრიორიტეტი 1 - სახელმწიფო ენა ინტეგრაციის მხარდასაჭერად	40
სტრატეგიული პრიორიტეტი 2 - ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა	43
სტრატეგიული პრიორიტეტი 3 - თანასწორობა, სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა	46
სტრატეგიული პრიორიტეტი 4 - სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაცია	52
სტრატეგიული პრიორიტეტი 5 - კულტურათაშორისი დიალოგი	56
VI. სტრატეგიის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება.....	58

I. შესავალი

საქართველოს ხელისუფლების უმთავრესი მიზანი - ქვეყნის დემოკრატიული განვითარება, სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება და ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია - ეფუძნება ადამიანის ფუნდამენტური უფლებების ყოველდღიურ ცხოვრებაში რეალიზების იდეასა და თანასწორი და თანაბარუფლებიანი საზოგადოების მშენებლობის პრინციპებს. შესაბამისად, საქართველოს მთავრობა ქვეყნის მრავალეთნიკური და კულტურულად მრავალფეროვანი საზოგადოების გაძლიერების უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკის ეფექტიანობის განგრძობად ამდლებას განიხილავს, ამ მიმართულებით, ხელისუფლების მიზნები ორიენტირებულია, პლურალისტური და ინკლუზიური პოლიტიკის გატარების გზით, ერთიანი, სტაბილური, სამართლებრივი და მრავალკულტურული საზოგადოების განმტკიცებაზე, რომლის მთავარი ღირებულება არის ადამიანი და მისი უფლებები.

საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკური იდენტობის მატარებელ მოსახლეობას ტოლერანტობის, მშვიდობიანი და სოლიდარული თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ისტორია აკავშირებს. **სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკა** ითვალისწინებს რა ამ მოცემულობას, აგრძელებს აღნიშნულ ტრადიციებსა და გამოცდილებას, თანასწორობის პრინციპებსა და საერთო ევროპულ ფასეულობებზე დაფუძნებით, სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში აძლიერებს მას. ხელისუფლება კულტურულ მრავალფეროვნებასა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა წვლილს ქვეყნის მდგრადი განვითარების პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად განიხილავს. სახელმწიფო პოლიტიკის ორიენტირებად გაცხადებულია ეთნიკური უმცირესობების სრულფასოვანი ინტეგრაცია, კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა, სამართლიანი, უსაფრთხო და ტოლერანტული გარემოს განმტკიცება, რათა განვითარდეს ისეთი საზოგადოება, რომლის თითოეული წევრი ღირსეულად ცხოვრობს და სარგებლობს დემოკრატიული მმართველობის პრივილეგიებით, აქვს თანაბარი უფლებები, შესაძლებლობები და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში სრულფასოვანი ჩართულობის პირობები. შესაბამისად, თითოეული მოქალაქე, მიუხედავად მისი ეთნიკური თუ კულტურული კუთვნილებისა, ქვეყნის სიძლიერის წყაროდ და ფასეულობად განიხილება.

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის უზრუნველყოფა საქართველოს კონსტიტუციით არის გარანტირებული, ამავდროულად, ის საერთაშორისო მექანიზმებისა და ხელშეკრულებების ფარგლებში ქვეყნის მიერ აღებული პოზიტიური ვალდებულებაა, რომელიც ორიენტირებულია არა მხოლოდ შესაბამისი საკანონმდებლო სივრცის შექმნაზე, არამედ რეალურ ცხოვრებაში უფლებათა რეალიზაციის ხელშეწყობაზე. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკა ხორციელდება კონსტიტუციური და საერთაშორისო სტანდარტების, პრინციპებისა და ნორმების საფუძველზე. თანასწორობა და

ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია საქართველოს კანონმდებლობითა და შესაბამისი მექანიზმებით.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი კოორდინაციას უწევს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას, განხორციელებასა და ანგარიშგებას. სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მექანიზმს წარმოადგენს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა.

საქართველოს მთავრობამ, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობითა და კოორდინაციით, შეიმუშავა წინამდებარე **„სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“**. სტრატეგიის ფარგლებში, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სფეროში უწყებათაშორისი, მრავალსექტორული, ერთიანი და თანამიმდევრული პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და გატარების მიზნით, განსაზღვრულია ქვეყნის გრძელვადიანი პრიორიტეტები და ამოცანები, რომლებიც ხელს შეუწყობს პროცესების კოორდინირებულად და ეფექტიანად წარმართვას, ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვასა და მხარდაჭერის გაძლიერებას, სამოქალაქო თანასწორობაზე დაფუძნებული საზოგადოების განმტკიცებასა და საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე აღებული პოზიტიური ვალდებულებების შესრულებას.

2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგია ქვეყნის სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის განმსაზღვრელი რიგით მეორე სტრატეგიული დოკუმენტია. სტრატეგიულ დაგეგმვას წინ უსწრებდა **„შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმა“** და საქართველოს მთავრობის **„სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგია და 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმა“**, რომელთა შემუშავებამ საფუძველი ჩაუყარა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკის სისტემური მართვის ინსტიტუციურ განვითარებას. შეიქმნა შესაბამისი მექანიზმები და გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ეთნიკური უმცირესობების შესაძლებლობების გაფართოების კუთხით, დინამიურად წარიმართა მუშაობა არსებული გამოწვევების დასაძლევად და მიღწევების გასაუმჯობესებლად.

წინამდებარე სახელმწიფო სტრატეგია ეფუძნება უკანასკნელ წლებში სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სფეროში მიღწეულ შედეგებს და ითვალისწინებს არსებულ გამოწვევებს, რომლებიც იდენტიფიცირებულია 2015-2020 წლების სტრატეგიის შუალედური და საბოლოო შეფასებების შედეგად, ასევე ევროპის საბჭოს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო-კონვენციის მრჩეველთა კომიტეტის მიერ საქართველოსთან მიმართებით გამოქვეყნებულ დასკვნებსა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევებში. აღნიშნული შეფასებების ფარგლებში წარმოდგენილი რეკომენდაციები განხილული და

გათვალისწინებული იქნა წინამდებარე სტრატეგიის შემუშავების პროცესში. მომზადდა საფუძველი მომდევნო წლების სტრატეგიული მიზნების განსაზღვრისა და შესაბამისი გრძელვადიანი და მდგრად შედეგზე გათვლილი ამოცანების ფორმირებისთვის და ჩამოყალიბდა მათი შესრულების მექანიზმები.

სტრატეგია ეფუძნება დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს გაძლიერების ხედვას, რომელიც გულისხმობს ყველა მოქალაქის თანასწორობას კანონითა და კანონის წინაშე; ტოლერანტული და ინკლუზიური გარემოს გაძლიერებას, სადაც ყველა მოქალაქე ღირსეულად და უსაფრთხოდ ცხოვრობს, სრულფასოვნად მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ქვეყანაში კულტურული მრავალფეროვნება და თანასწორობა, როგორც უმთავრესი ფასეულობები და დემოკრატიული განვითარების უმნიშვნელოვანესი რესურსი, არა მხოლოდ აღიარებულია, არამედ ამ საკითხებზე კონსენსუსი მიღწეული და გაზიარებულია ფართო საზოგადოებაში.

წინამდებარე სტრატეგიის მიზანია სახელმწიფოში სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის შემდგომი განმტკიცება, რაც გულისხმობს ქვეყანაში ეთნოსთაშორისი ურთიერთობების გაძლიერებას, მათი კულტურული ფასეულობებისა და იდენტობის დაცვას, საზოგადოებაში თანასწორობის პრინციპების სრულფასოვან რეალიზებას, რათა საქართველოს ყველა მოქალაქემ, განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობისა, შეძლოს წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებასა და დემოკრატიული განვითარების პროცესში.

ამ მიზნის მისაღწევად სტრატეგიაში გათვალისწინებულია ქვეყნის პროგრესი უკანასკნელ წლებში სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის მიმართულებით. დოკუმენტით განსაზღვრული მიზნები და ამოცანები შემუშავებულია ერთიანი ეროვნული ინტერესებისა და ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების გათვალისწინებით, შესაბამისობაშია მაღალ საერთაშორისო პრინციპებსა და სტანდარტებთან. ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის, იდენტობის შენარჩუნებისა და ეთნოკულტურის განვითარებისთვის გათვალისწინებულია ის საჭიროებები და ღირებულებები, რომლებსაც სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები იზიარებენ.

ეთნიკური იდენტობა მოიაზრებს ეთნიკური ჯგუფებისთვის დამახასიათებელი მემკვიდრეობის შემადგენელი სიმბოლოების - ენის, კულტურის, ტრადიციების დაცვას, რეინტერპრეტაციასა და ინდივიდის მიერ მათთან იდენტიფიკაციას.

წინამდებარე დოკუმენტის ფარგლებში **სამოქალაქო თანასწორობა გულისხმობს** თითოეული მოქალაქისთვის, მიუხედავად მისი ეთნიკური თუ სხვა კუთვნილებისა, ღირსეული ცხოვრების პირობებს, როდესაც ინდივიდი, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის საფუძველზე დაცულია ნებისმიერი ფორმისა და შინაარსის დისკრიმინაციისაგან, თანასწორია

კანონის წინაშე, ცხოვრობს ტოლერანტულ გარემოში, აქვს თანაბარი უფლებები და შესაძლებლობები, ისევე, როგორც თანაბარი პასუხისმგებლობები და ვალდებულებები. ასევე, აქვს საკუთარი პოტენციალის სრულფასოვნად რეალიზების, მშობლიური ენით სარგებლობის, ეთნოკულტურის შენარჩუნებისა და განვითარების შესაძლებლობა.

სამოქალაქო ინტეგრაცია მოიაზრებს ქვეყანაში მცხოვრები ყველა ეთნიკური წარმომავლობის მოქალაქეების მრავალეთნიკურ საზოგადოებაში ინკლუზიას, რაც ითვალისწინებს მათ აქტიურობას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, სახელმწიფოსთან მყარი პოზიტიური ემოციური კავშირის ფორმირებასა და იდენტობისა და მიკუთვნების განცდის შექმნა-გამძლიერებას.

ამ მიზნით, სახელმწიფოს ვალდებულებაა უზრუნველყოს ინკლუზიური და თანასწორი საზოგადოების მშენებლობისა და მოქალაქეების სრულფასოვანი მონაწილეობისათვის სათანადო პირობებისა და მექანიზმების შექმნა, ასევე საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენება ქვეყანაში ისტორიულად დამკვიდრებული გამოცდილებისა და საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინებით.

სამოქალაქო ინტეგრაცია დინამიური, მრავალგანზომილებიანი და მრავალმხრივი პროცესია და მოითხოვს საზოგადოების თითოეული წევრის, როგორც ეთნიკური უმცირესობების, ისე უმრავლესობის წარმომადგენელთა მხრიდან, საინტეგრაციო პროცესებში სრულფასოვანი მონაწილეობას, სათანადო მოტივაციასა და ძალისხმევას, ასევე პასუხისმგებლობების გაზიარებას. შესაბამისად, სტრატეგიის სამიზნედ განიხილება, როგორც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოქალაქეები, ასევე უმრავლესობის წარმომადგენლები.

წინამდებარე სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავებით, საქართველოს მთავრობა წარმოაჩენს ამბიციასა და ხედვას, კომპლექსური და სისტემური მიდგომებით განახორციელოს ჩვენი ქვეყნის მრავალეთნიკური საზოგადოების ეფექტური ინტეგრაცია. სტრატეგიის **დოკუმენტის ამოცანაა** ამ მიზნით უწყებათაშორისი, მრავალსექტორული, ერთიანი და თანმიმდევრული მიდგომების უზრუნველყოფა, პოლიტიკის განსახორციელებლად **ჩარჩოს შექმნა** და მისი რეალიზებისთვის საჯარო უწყებების საქმიანობისა და უწყებათაშორისი კოორდინირებული მუშაობის ხელშეწყობა. სტრატეგიის იმპლემენტაცია მოითხოვს ერთი მხრივ, ყველა განმახორციელებელი ინსტიტუციის მხრიდან შეთანხმებულ მიდგომას, მეორე მხრივ კი, მათ მიერ - მრავალფეროვანი და დივერსიფიცირებული სამოქმედო სტრატეგიების გამოყენებას. აღნიშნული პრინციპი გამოყენებული იყო, როგორც სტრატეგიის (2021-2030 წწ.) დოკუმენტზე, ასევე სამოქმედო გეგმაზე მუშაობის პროცესშიც.

სტრატეგიის ფარგლებში ეთნიკური უმცირესობების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკა განიხილება სამ განზომილებაში - **ქვეყნის სტრატეგიული განვითარების, მდგრადი განვითარების მიზნებისა და საქართველოს ევროპული არჩევანის კონტექსტში.**

სტრატეგიის პრიორიტეტები

2021-2030 წლების სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია მიზნად ისახავს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის მიმართულებით გრძელვადიანი და შეუქცევადი პოზიტიური ცვლილებების განხორციელების უზრუნველყოფას და შესაბამისი პოლიტიკის განსახორციელებლად განსაზღვრავს ხუთ პრიორიტეტულ მიმართულებას:

- ❖ სახელმწიფო ენა ინტეგრაციის მხარდასაჭერად;
- ❖ ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- ❖ თანასწორობა, სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა;
- ❖ სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაცია;
- ❖ კულტურათათმორისი დიალოგი.

სტრატეგიული პრიორიტეტების, თითოეული დასახული ამოცანის ფარგლებში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალებისა და ახალგაზრდების გაძლიერების მიზნით, ეფექტიანი მექანიზმების განვითარებასა და ხელშემწყობი მიზნობრივი პროგრამების განხორციელებაზე. ასევე, მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის პროაქტიული მიდგომების დანერგვასა და თანასწორობაზე ფოკუსირებული პოლიტიკის, ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებაზე.

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკის ამოსავალი წერტილია ადამიანის უფლებები. აღნიშნული პოლიტიკის მიღწევები და პროგრესი გზავნილია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები აფხაზებისა და ოსებისათვის, რათა მათ ჰქონდეთ ჩვენი საერთო მომავლის რწმენა ერთიან სახელმწიფოში, სადაც უზრუნველყოფილია სამოქალაქო თანასწორობა და დაცულია თითოეული მოქალაქის იდენტობა და უფლებები.

სტრატეგიის შემუშავების მეთოდოლოგია

სტრატეგია და სამოქმედო გეგმა მომზადდა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის (შემდგომში - სახელმწიფო მინისტრის აპარატი) ხელმძღვანელობით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით და დარგობრივი სახელმწიფო უწყებების მონაწილეობით, სამოქალაქო სექტორის, სახალხო დამცველის აპარატისა და მასთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს აქტიური ჩართულობით.

სტრატეგიის შემუშავების პროცესის სტრუქტურირების მიზნით განისაზღვრა პროცესის მაკოორდინირებელი სამთავრობო კომისიის მუშაობის პრინციპები და დროში გაწერილი სამუშაო გეგმა. სამთავრობო კომისიის სამდივნოს დაეკისრა პროცესის წარმართვა და კოორდინაცია. სამდივნოს მიერ სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებ-გვერდზე www.smr.gov.ge გავრცელდა საჯარო განცხადება სტრატეგიაზე მუშაობის დაწყების შესახებ და სახელმწიფო მინისტრის აპარატმა დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის სახელმწიფო უწყებებს, ასევე, თავად ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს მოუწოდა განსაზღვრულ პერიოდში წარმოედგინათ სტრატეგიის ხედვასა და პრიორიტეტებთან დაკავშირებით წინადადებები, სტატისტიკური მონაცემები, ის კვლევები და კონცეფციები, რომლებიც შესაძლოა ღირებული ყოფილიყო სტრატეგიაზე მუშაობის პროცესში. ამავე მიზნით, კორესპონდენცია დაეგზავნა ყველა დაინტერესებულ უწყებასა და ორგანიზაციას, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, რომლებიც სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებზე მუშაობენ.

სიტუაციის ანალიზისა და იდენტიფიცირებული გამოწვევების შესახებ ინფორმაციის, ასევე, საკუთარი ხედვების წარმოდგენა პროფილური საქმიანობის შესაბამისად, ეთხოვათ საექსპერტო ცოდნის მქონე ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებს, მათ შორის, საქართველოს გაერო-ს ასოციაციას, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ცენტრს, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრს, ევროპის საბჭოს, ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში ეუთო-ს უმაღლესი კომისრის ოფისს და სხვა. მიღებული ინფორმაცია, დოკუმენტები და წინადადებები გამოყენებულ იქნა სიტუაციის ანალიზის პროცესში.

სტრატეგიის შემუშავება დაიწყო კონცეფციის მომზადებით. მთავარ პრინციპად განისაზღვრა მიდგომა, რომლის თანახმადაც, სტრატეგიის დოკუმენტი სამუშაო ჯგუფში ჩართული ყველა მონაწილისა და დაინტერესებული მხარის სრულფასოვანი თანამონაწილეობითა და პასუხისმგებლობების განაწილებით უნდა შექმნილიყო.

სტრატეგიის შემუშავების **პირველ ფაზაში**, პასუხისმგებელი უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის დაკომპლექტებისთანავე¹, ჯგუფის წევრებს საგანგებოდ ჩაუტარდა საჯარო პოლიტიკის ანალიზის, დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სატრენინგო კურსი, რომელიც ფოკუსირებული იყო ახალ რეგულაციებზე, რომლითაც საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის #629 დადგენილებით განისაზღვრა საქართველოს მთავრობის

¹ სამუშაო ჯგუფში მონაწილეობდნენ საქართველოს შემდეგი სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საგარეო საქმეთა სამინისტრო; სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი; ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო; პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა; სტატისტიკის ეროვნული სამსახური; ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციები.

პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი პროცედურები, მეთოდოლოგია და სტანდარტები². სტრატეგიის შემუშავების (პოლიტიკის დაგეგმვის) სრული ციკლი წარიმართა აღნიშნული რეგულაციებისა და შესაბამისი სახელმძღვანელოს რეკომენდაციების გათვალისწინებით, ინკლუზიურად, უზრუნველყოფილი იყო დაინტერესებული მხარეებისა და აქტორების ფართო ჩართულობა, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების აქტიური მონაწილეობა.

სიტუაციის ანალიზზე მუშაობა წარიმართა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის (შემდგომში კომისია)³ და სამუშაო ჯგუფის წევრი თითოეული უწყების დარგობრივი მიმართულებების მიხედვით. ანალიტიკური პროცესის ხელშეწყობისა და ეფექტიანი კოორდინაციის მიზნით, მოწვეულ იყვნენ სტრატეგიული დაგეგმვის მიმართულების საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები.

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკის ეფექტიანი დაგეგმვის მიზნით დეტალურად იქნა განხილული 2015-2020 წლების სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის შესრულების შუალედური და საბოლოო შეფასების დოკუმენტები (მომზადდა დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის მიერ), ასევე ყოველწლიური სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები. მომზადდა ადამიანის უფლებების, სამოქალაქო ინტეგრაციისა და მომიჯნავე სფეროების მიმართულებით საერთაშორისო და ადგილობრივი ანალიტიკური მასალების (დოკუმენტებისა და რეკომენდაციების) კატალოგი. სიტუაციის ანალიზისას გამოკვეთილი სექტორული გამოწვევების მიხედვით მიმდინარეობდა ლოგიკური ჩარჩოს შედგენა პრობლემების ხის მეთოდის გამოყენებით.

ამასთანავე, განხილულ იქნა საერთაშორისო მექანიზმების, მათ შორის ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის (FCNM)⁴, გაეროს უნივერსალური პერიოდული ანგარიშის (UPR)⁵, რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI)⁶, ასევე, ადამიანის უფლებების სფეროში ადგილობრივი აქტორების, კერძოდ, საქართველოს სახალხო დამცველის⁷, სახალხო დამცველთან არსებული ეროვნული უმცირესობათა საბჭოს შეფასებები, სხვადასხვა კვლევის შედეგები და რეკომენდაციები. სტრატეგიის შემუშავებისას, ეროვნულ საკანონმდებლო და ინსტიტუციურ ჩარჩოსთან ერთად, გათვალისწინებული იყო საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებები, შესაბამისი დარგობრივი სფეროების მოქმედი სტრატეგიები და კონცეფციები.

² <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4747283>

³ საქართველოს მთავრობის N122 დადგენილება - 2020 წლის 20 თებერვალი

⁴ <https://rm.coe.int/3rd-op-georgia-en/1680969b56>

⁵ <https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G15/187/99/PDF/G1518799.pdf?OpenElement>

⁶ <https://rm.coe.int/fourth-report-on-georgia/16808b5773>

⁷ <https://www.ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi>

პრობლემების ანალიზის შემდგომ გაიმართა მსჯელობა, თუ როგორ შეიძლებოდა არსებული ინსტრუმენტები გამხდარიყო უფრო ეფექტური და როგორი ინტერვენციები, რომელი სტრატეგიული ალტერნატივები შექმნიდა არსებითი და გარდამტეხი ცვლილებების შესაძლებლობას სხვადასხვა, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა სოციალური ჩართულობის, დასაქმების, სახელმწიფო ენის ცოდნის ამაღლების, ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობისა და კულტურათაშორისი დიალოგის განვითარების მიმართულებებით.

მიუხედავად იმისა, რომ COVID-19-ის პანდემიის პირობებში პირისპირ შეხვედრებზე გარკვეული შეზღუდვები იყო დაწესებული, სამუშაო პროცესი დისტანციურ რეჟიმში ინტენსიურად მიმდინარეობდა სხვადასხვა ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით.

სტრატეგიის შემუშავების მეორე ფაზაში სიტუაციის ანალიზის ეტაპზე გამოვლენილი მიგნებების განხილვისა და სტრატეგიის ლოგიკური ჩარჩოს სრულყოფის, სტრატეგიული პრიორიტეტების, მიზნებისა და ამოცანების ალტერნატივების განსაზღვრის მიზნით, გაიმართა სამუშაო ჯგუფის სხვადასხვა ფორმატის ათამდე შეხვედრა/განხილვა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან, როგორც დედაქალაქში, ასევე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში.

სიტუაციის ანალიზისა და შეფასების შედეგად, სამუშაო ჯგუფში განისაზღვრა და სამთავრობო კომისიის ფარგლებში შეჯერდა პოლიტიკის ხედვა, სტრატეგიული პრიორიტეტები, მიზნები, ამოცანები და ინდიკატორები. სტრატეგიის მოქმედების ვადად განისაზღვრა მომდევნო 10 წელი.

სტრატეგიის დოკუმენტის სამუშაო ვერსია გამოქვეყნდა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებ-გვერდზე და დაინტერესებული პირები მოწვეულ იქნენ 2021 წლის მარტში დოკუმენტზე მოსაზრებების წერილობით წარსადგენად.

მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე გადაიხედა და დასრულდა სტრატეგიის შემადგენელი დოკუმენტები:

- ❖ სამოქმედო გეგმა 2021-2022 წლებისთვის (დანართი N2) - წარმოდგენილია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად დაგეგმილი ღონისძიებები;
- ❖ ლოგიკური ჩარჩო (დანართი N3) - წარმოდგენილია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების გავლენის ინდიკატორები, რომლებიც განსაზღვრავენ მათი მიღწევის მაჩვენებლებსა და სამიზნეებს;

- ❖ საჯარო კონსულტაციების ანგარიში (დანართი N4) - წარმოდგენილია მიღებული მოსაზრებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ დეტალური ინფორმაცია.

სტრატეგიის პროექტის შემუშავების შემდგომ დოკუმენტი განსახილველად და მოსაზრებების წარმოსადგენად გაეგზავნა საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ასევე, აკადემიური წრეების წარმომადგენლებს. დოკუმენტის საერთაშორისო ექსპერტიზა უზრუნველყო ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში ეუთო-ს უმაღლესმა კომისარმა, რომელმაც დაადასტურა წინამდებარე დოკუმენტის შესაბამისობა მოქმედ საერთაშორისო სტანდარტებთან.

არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, ეთნიკური უმცირესობების, ექსპერტების, ასევე დარგობრივი სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლების მიერ საჭიროებების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე წარმოდგენილი იქნა კომენტარები, რეკომენდაციები და წინადადებები, რომლებიც სამუშაო ჯგუფის მიერ დეტალურად იქნა განხილული. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი გათვალისწინებულია წინამდებარე დოკუმენტში (დანართი 4).

სტრატეგიის ხედვის, მიზნების, ამოცანების, აქტივობებისა და შესაბამისი ინდიკატორების განხილვისა და შეჯერების მიზნით, უწყებებთან გაიმართა ოცამდე სამუშაო შეხვედრა/განხილვა კომუნიკაციის სხვადასხვა, მათ შორის, ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. დამატებით ათამდე შეხვედრა გაიმართა სტრატეგიის დოკუმენტზე მუშაობის ბოლო ეტაპზე, დაინტერესებულ საზოგადოებასთან პროექტის სამუშაო ვერსიის წარდგენა-შეთანხმების მიზნით.

შემუშავებული დოკუმენტების საბოლოო ვერსია განხილულ იქნა სამთავრობო კომისიასთან და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან, რის შემდეგაც დასამტკიცებლად წარედგინა საქართველოს მთავრობას.

II. სტრატეგიის სამართლებრივი ჩარჩო

წინამდებარე სტრატეგიის დოკუმენტი სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკას განიხილავს საერთაშორისო და ქვეყნის შიდა პოლიტიკის კონტექსტში, საქართველოს ევროპულ არჩევანსა და შესაბამის პოლიტიკურ რეფორმებთან კავშირში. საქართველო წევრია ადამიანის უფლებათა დაცვის ყველა იმ ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმებისა, რომლებიც სხვა უფლებებთან ერთად განსაზღვრავენ ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის საკითხს. საერთაშორისო სამართლის

საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეებს, განურჩევლად მათი ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა, უფლება აქვთ, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ მშობლიური ენით პირად ცხოვრებაში ან საჯაროდ.

განხორციელებული მასშტაბური საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად საქართველოს კონსტიტუციაში 2018 წელს ეთნიკურ უმცირესობათა საკითხების მკაფიოდ ასახვამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფო საქართველოს მოქალაქე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, მათი იდენტობის უმნიშვნელოვანესი მახასიათებლების - კულტურის, ენის, თვითმყოფადობის დაცვასა და განვითარებას. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მიხედვით, ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. საქართველოს კანონმდებლობა და შესაბამისი მექანიზმები ითვალისწინებს მთელ რიგ გარანტიებსა და პროცესუალურ ნორმებს ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვისა და მონაწილეობისთვის. მათ შორის:

- ❖ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ❖ „სახელმწიფო ენის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი;
- ❖ „სამთავრობო პროგრამა 2021-2024 ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“;
- ❖ „ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“;
- ❖ „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021წწ.“;
- ❖ „საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 ეროვნული სტრატეგია“;
- ❖ „კულტურის სტრატეგია 2025“⁸;
- ❖ „2020-2030 წწ. საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია“ და სხვ.

საქართველო ერთგული რჩება საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანებით აღებული ვალდებულებათა მიმართ. შესაბამისად, სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესი, ასევე, ეფუძნება საერთაშორისო გამოცდილებასა და ეთნიკური მრავალფეროვნების მართვის საერთაშორისო სტანდარტების განმსაზღვრელ პოლიტიკურ-სამართლებრივ რეგულაციებს, საერთაშორისო ხელშეკრულებებს, პრინციპებსა და სტანდარტებს ადამიანის უფლებათა სფეროში.

მათ შორის, სტრატეგია სრულ შესაბამისობაშია - საქართველოსა და ევროკავშირის შორის 2014 წელს ხელმოწერილ „ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ“ შეთანხმების მიზანთან, როგორცაა დემოკრატიული რეფორმების გატარება, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების უფლებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაცვისა და ინტეგრაციის გზით.

⁸ საქართველოს მთავრობის დადგენილება N 303; 2016 წელი, 1 ივლისი

ასევე, შემდეგ დოკუმენტებთან:

- ❖ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი;
- ❖ ევროპის საბჭოს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენცია;
- ❖ გაერო-ს სამოქალაქო და პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი;
- ❖ რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაერო-ს კონვენცია;
- ❖ რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის რეკომენდაციები და სახელმძღვანელო პრინციპები;
- ❖ ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია;
- ❖ ეროვნული უმცირესობათა საკითხებში ეუთოს უმაღლესი კომისრის ჰააგის, ოსლოს, ლუნდის, ვარშავის, ლიუბლიანის, გრაცისა და ტალინის თემატური რეკომენდაციები და სახელმძღვანელო პრინციპები;
- ❖ გაერო-ს მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs) - ეროვნული დოკუმენტი.

განათლებასთან დაკავშირებული საკითხების ფორმულირებისას, წინამდებარე სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ევროპული ქვეყნების საუკეთესო გამოცდილებას, რომლებიც თავმოყრილია ევროპის საბჭოს მრჩეველთა კომიტეტის 1-ელ თემატურ მოხსენებაში და ეროვნული უმცირესობების საკითხებზე ეუთო-ს უმაღლესი კომისრის ჰააგის რეკომენდაციებში, ხოლო ეროვნული უმცირესობების მიერ მშობლიური ენისა და სახელმწიფო ენის გამოყენება/ფლობასთან დაკავშირებით, წინამდებარე დოკუმენტი ეყრდნობა ეროვნული უმცირესობის საკითხებზე ევროპის საბჭოს მრჩეველთა კომიტეტის მე-3 თემატურ მოხსენებასა და ეროვნული უმცირესობების საკითხებზე ეუთოს უმაღლესი კომისრის ოსლოს რეკომენდაციებს.

III. სიტუაციის მიმოხილვა

საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში გამოირჩეოდა ქვეყანაში მცხოვრები ეთნოსების ურთიერთტოლერანტული განწყობებითა და კულტურათაშორისი ურთიერთობებით, მშვიდობიანი თანაცხოვრებითა და ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ ერთობლივი ძალისხმევის პოზიტიური გამოცდილებით. ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნება წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეს და მისი დემოკრატიული და სტაბილური განვითარების მნიშვნელოვან რესურსს.

2014 წელს ჩატარებული საყოველთაო აღწერის შედეგების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის (3 713,8 ათასი კაცი, გარდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ

ოსეთისა) 13.1%-ს (488 136 კაცი) ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები შეადგენენ. მათი დიდი ნაწილი ეთნიკურად აზერბაიჯანელები (6.27%) და ეთნიკურად სომხები (4.53%), ძირითადად, მჭიდროდ არიან განსახლებული ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონებში. გარდა ამისა, მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფები სხვადასხვა რეგიონში ცხოვრობენ როგორც კომპაქტურად (ქისტები, უდები, ხუნძები, ასირიელები), ასევე დისპერსულად (ოსები, იეზიდები, ქურთები, უკრაინელები, რუსები, ბერძნები, ებრაელები, ბოშები და სხვა ეთნიკური ჯგუფები). მათი რაოდენობა საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 2.4% შეადგენს.

ეთნიკური შემადგენლობა ⁹	სულ (ათასი კაცი)	პროცენტული განაწილება
ქართველი	3 224,6	86,8
აზერბაიჯანელი	233,0	6,3
სომხები	168,1	4,5
რუსი	26,5	0,7
ოსი	14,4	0,4
იეზიდი	12,2	0,3
უკრაინელი	6,0	0,2
ქისტი	5,7	0,2
ბერძენი	5,5	0,1
ასირიელი	2,4	0,1
სხვა	14,3	0,4
უარი პასუხზე	0,6	0,0
ეროვნება მითითებული არ არის	0,5	0,0

გასული წლების განმავლობაში ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი პროგრესი - გაუმჯობესდა კანონმდებლობა, ძალისხმევა მიმართული იყო ინსტიტუციური მიდგომებისა და მექანიზმების გასაძლიერებლად. როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა (2015-2020 წწ.)“ მიღწეული შედეგების თვალსაზრისით - ეთნიკური

⁹ მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა, www.geostat.ge

უმცირესობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის, განათლების ხელმისაწვდომობისა და სახელმწიფო ენის სწავლების, სამოქალაქო ჩართულობის, ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების, კულტურული მრავალფეროვნების დაცვისა და შენარჩუნების კუთხით - მთლიანობაში, პოზიტიურად იქნა შეფასებული.

გამორჩეული იყო 2020 წელი, როდესაც ახალი კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ მთელი მსოფლიო, მათ შორის, საქართველო, უპრეცედენტო გამოწვევის წინაშე დააყენა. ყოვლისმომცველმა კრიზისმა გარკვეულწილად შეაფერხა სტრატეგიის ფარგლებში დაგეგმილი ამოცანების შესრულება. მთავრობის უპირველესი პრიორიტეტი გლობალურ პანდემიასთან გამკლავება გახდა, რომელიც, ერთი მხრივ, მიმართული იყო მოქალაქეების ჯანმრთელობაზე ზრუნვისკენ, მეორე მხრივ კი - ეკონომიკური კრიზისის დამლევსაკენ. ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაციის შესაბამისად, დაავადების გავრცელების პრევენციისა და მასზე სწორი რეაგირების მიზნით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ძალისხმევა მიმართული იყო მოსახლეობის მშობლიურ ენაზე რეგულარული ინფორმირებისაკენ, ასევე, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ჯგუფების პირველადი მოხმარების პროდუქტებითა და ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფისაკენ. აღნიშნულმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მოსახლეობის მხრიდან რეგულაციების დაცვაში, შესაბამისად - დაავადების გავრცელების პრევენციის პროცესში.

სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით მიღწეული შედეგების მიუხედავად, მიმდინარე სიტუაციის შეფასებისას გამოიკვეთა, რომ ჯერ კიდევ არსებობს გარკვეული საჭიროებები და გამოწვევები, რომლებზე ეფექტური რეაგირებაც ახალი სტრატეგიის ფარგლებში, არსებითად მნიშვნელოვანია და ხელს შეუწყობს ქვეყნის ეთნიკურად მრავალფეროვანი მოსახლეობის პოტენციალის რეალიზებას, სამოქალაქო თანასწორობის განმტკიცებას, სხვადასხვა ეთნიკური წარმომადგენლობის მოსახლეობის წარმომადგენელთა, როგორც საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქეების სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული უფლებებით თანასწორ და ეფექტიან სარგებლობას. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის ცოდნის ხარისხის გაუმჯობესების საჭიროება. ასევე, გამოწვევად რჩება საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობის გაძლიერება, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე. ამასთანავე, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები შედარებით მცირე ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები, რომლებიც მაღალ დონეზე ფლობენ სახელმწიფო ენას და მეტწილად სრულფასოვნად არიან ინტეგრირებულნი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, ძირითადად საჭიროებენ მხარდაჭერას სოციალურ-ეკონომიკური საკითხების მოგვარებისა და კულტურული ინტეგრაციის ეფექტიანობის ამაღლების კუთხით. სხვადასხვა მიმართულებით

არსებული გამოწვევები ურთიერთდამოკიდებულია და მოითხოვს, როგორც ინტეგრირებული მიდგომით შეფასებას, ასევე რეაგირებას.

3.1. სახელმწიფო ენის სწავლება

2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის მონაცემებით, სახელმწიფო ენას არაქართულენოვანი მოსახლეობის მხოლოდ 30.99% ფლობდა. ამასთან, 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, ეთნიკურად სომეხი მოქალაქეების 44,5% და ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოქალაქეების 73,9% თავისუფლად არ ფლობდა ქართულ ენას¹⁰.

სახელმწიფო ენის არცოდნა მნიშვნელოვნად აფერხებს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა სრულფასოვან მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ამავდროულად, გარკვეულწილად ხელს უშლის ერთმანეთის კულტურის, ტრადიციების გაზიარებას და მიმღებლობას. შესაბამისად, სტრატეგია სახელმწიფო ენას განიხილავს, როგორც სამოქალაქო ინტეგრაციის ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტს. შესაბამისად, ინტერვენცია მიმართულია ქართული ენის ცოდნის დონის ამაღლებისა და გამოყენების გაძლიერებისკენ.

ეთნიკური უმცირესობების მიმართ ენობრივი პოლიტიკა გამომდინარეობს როგორც ქვეყნის განვითარების მიზნებიდან, აგრეთვე სახელმწიფოს შიდა და საერთაშორისო საინტეგრაციო პროცესებიდან, სამოქალაქო თანასწორობის მიზნებიდან და მოიაზრებს, ერთი მხრივ, არაქართულენოვანი მოსახლეობით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის სტატუსის გაძლიერებასა და პოპულარიზაციას, მეორე მხრივ კი, უმცირესობათა ენების, როგორც მშობლიური ენის სწავლების გაუმჯობესებას.

ბოლო წლებში კომპლექსური და სისტემური ხასიათი მიიღო სახელმწიფო ენის ცოდნის ამაღლების მიმართულებით განხორციელებულმა ღონისძიებებმა, როგორც მეთოდოლოგიურად, ისე აქტორების ჩართულობით. განათლების ყველა დონეზე შეიქმნა ქართული ენის შესწავლის შესაძლებლობები და სამართლებრივი გარანტიები. ენის სწავლებაში სკოლამდელი, სასკოლო, პროფესიული, უმაღლესი და ზრდასრულთა განათლების დონეზე დგას თანმიმდევრული, განგრძობითი და ერთიანი სისტემის შემუშავების პრობლემა. ამიტომ, ამჟამად დღის წესრიგში დგას ამ საკითხის გადაჭრა და სასწავლო გეგმების სრულფასოვნად რეალიზებისა და ეფექტურად განხორციელების საკითხი.

¹⁰წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

http://census.ge/ge/results/census1/demo?fbclid=IwAR16xUDF3w7zviYDz_slzduS6VmvQPR5ow0Fg_CG7KsOxmb2ezQN5tvPnGw

ზრდასრულთა განათლების ნაწილში ეთნიკური უმცირესობებისთვის სახელმწიფო ენის სწავლების პოლიტიკა მნიშვნელოვნად ტრანსფორმირდა, ამავდროულად, გაფართოვდა და მრავალფეროვანი გახდა ბენეფიციარების სეგმენტი. თუ მანამდე, სასწავლო პროგრამები მხოლოდ მოსწავლეებზე (არაქართულენოვან სკოლებში) და საჯარო მოხელეებზე (სსიპ „ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის ქართული ენის ცენტრებში“) იყო მიმართული, დღეს უკვე, ქართული ენის სწავლების კურსები ხელმისაწვდომია სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის და ფარავს ყველა ასაკობრივ და პროფესიულ სეგმენტს. შედეგად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებში წლიდან წლამდე ქართული ენის ცოდნის დონე უმჯობესდება. ზრდასრულთა სეგმენტზე ორიენტირებული სსიპ „ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა“ 13 სასწავლო ცენტრისა და 171 მობილური ჯგუფის საშუალებით ახორციელებს სახელმწიფო ენის სწავლების მრავალფეროვან პროგრამებს. COVID-19-ის პანდემიის პირობებში წარმოქმნილი გამოწვევების საპასუხოდ, ამ ჯგუფებმა საქმიანობა დისტანციური სწავლების რეჟიმში განაგრძეს. სკოლა დაინტერესებულ პირებს სახელმწიფო ენის სასწავლო კურსში სთავაზობს დარგობრივი ენის პროგრამებსაც, საკომუნიკაციო და პროფესიული ლექსიკის გათვალისწინებით. 2015-2020 წლებში ქართული ენის კურსი წარმატებით დაასრულა 16 000-მდე მსმენელმა. ასევე, ენის სწავლება ხელმისაწვდომი გახდა სასულიერო პირებისათვის. სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით სსიპ „ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის“ მიერ ქართული ენის შემსწავლელი კურსები გაიხსნა: ახალქალაქის, ნინოწმინდის, მარნეულისა და დმანისის მუნიციპალიტეტების სასულიერო პირებისთვის (100-ზე მეტი ბენეფიციარი). მათმა ჩართულობამ პოზიტიური ზეგავლენა მოახდინა ადგილობრივი მოსახლეობის ქართული ენის შესწავლის მოტივაციაზე.

ქართული ენის კურსი უწყვეტ რეჟიმში ხორციელდება შეიარაღებულ ძალებში სავალდებულო სამხედრო მოსამსახურე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის 10 სავალდებულო საწვრთნელ ბაზაზე (1111 ბენეფიციარი), ასევე მსჯავრდებულებისთვის - პენიტენციურ სისტემაში. სახელმწიფო ენის შემსწავლელ პროგრამაში აქტიურად ჩაერთვნენ ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში დასაქმებული პირები.

სკოლამდელი განათლების შესახებ ახალი კანონის მიხედვით, არაქართულენოვან საბავშვო ბაღებში ქართულ ენაზე საბაზისო საკომუნიკაციო უნარების განვითარება სავალდებულო გახდა. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისთვის დაიგეგმა და ხორციელდება ქართული ენის სწავლება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

2015 წლიდან „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ პროგრამის ფარგლებში მონაწილე კონსულტანტ-მასწავლებლებს (200-ზე მეტი) ჩაუტარდათ ქართული ენის სწავლების

გრძელვადიანი მეთოდური კურსი. მათმა საქმიანობამ არაქართულენოვან სოფლებში მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ქართული ენის ცოდნის დონე მოსწავლეებში.

ამ მიმართულებით, ასევე, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა არაფორმალური განათლების აქტივობებმა, კერძოდ, მოეწყო ეთნიკური უმცირესობებისა და უმრავლესობის ინტეგრირებული საზაფხულო ბანაკები ქართული ენის გამოყენების კომპეტენციების გაძლიერების მიზნით, რომლებშიც მონაწილეობდნენ არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეები და პროგრამის კონსულტანტ-მასწავლებლები. პროგრამის დასრულების შემდგომ არ შენელებულა მის მიმართ ინტერესი. მოსახლეობის მხრიდან ფიქსირდება მოთხოვნა პროგრამის განახლებასა და გაფართოებასთან დაკავშირებით.

მიუხედავად ზემოაღნიშნული შედეგებისა, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ქართული ენის ცოდნისა და გამოყენების საკითხი კვლავ გამოწვევად რჩება, რაც მოსახლეობას უქმნის არა მხოლოდ ყოველდღიური კომუნიკაციის, არამედ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე ინფორმაციის მიღების, დასაქმების, განათლებისა და სერვისებით სრულფასოვნად სარგებლობის პრობლემას. დგას პროგრამების მასშტაბების გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უფრო ეფექტური ინტერვენციების საჭიროება, რაც მრავალ ფაქტორთან არის დაკავშირებული (პროგრამები, რესურსები, პედაგოგები, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა და სხვა). არსებული გამოწვევების დასაძლევად დაწყებულია მუშაობა ქართული ენის კომპეტენციების პრაგმატულ კონტექსტში გადაყვანის ეფექტური გზების მოძიებასა და პროგრამების ინტეგრაციის ხელშემწყობი აქტივობებით გამდიდრებისთვის, რომელიც მოიაზრებს ყველა სამიზნე ასაკობრივი სეგმენტის ჩართულობას.

3.2. განათლების ხარისხი

3.2.1. სკოლამდელი განათლება

სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, ბოლო წლებში ინტენსიურად მიმდინარეობს საბავშვო ბაღების მშენებლობა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, თუმცა სკოლამდელი განათლება, ჯერ კიდევ არაეფექტურადაა გამოყენებული, როგორც სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის წარმოების საწყისი, ზოგადი განათლებისა და ქართული ენის შესწავლის მოსამზადებელი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. სახელმწიფო ენის შესწავლის ყველაზე ეფექტური გზა მისი სკოლამდელი განათლების საფეხურიდან დაწყებაა. კვლავ იკვეთება პრობლემები, სკოლამდელი და დაწყებითი საფეხურის ინტეგრაციისა და ტრანზიციის ეფექტიანი მექანიზმების შექმნის თვალსაზრისით.

ადრეული და სკოლამდელი განათლების ფართომასშტაბიანი სახელმწიფო რეფორმის ფარგლებში შემუშავებული ახალი საგანმანათლებლო და ინფრასტრუქტურული სტანდარტების შესაბამისად, მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, მიმდინარეობს სკოლამდელი განათლების სექტორის განვითარების სტრატეგიების შემუშავება, რომლის მიზანია გადაჭრას ახალი კანონის - „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ მოთხოვნების აღსრულებისთვის კვალიფიციური კადრების მობილიზების, ასევე, სასწავლო-სააღმზრდელო ინფრასტრუქტურული საკითხები.

არსებულ სკოლამდელ დაწესებულებებში კი, განათლებისა და ზრუნვის სერვისის ხარისხი, უმეტეს შემთხვევაში, მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს.¹¹ არაქართულენოვანი საბავშვო ბაღებისთვის ქართული ენის საგანმანათლებლო სტანდარტებისა და სასწავლო პროგრამის გადამუშავება დაწყებულია, რომლის დანერგვაც შესაბამისი სამიზნე ასაკობრივ ჯგუფებს მისცემს ადრეულ ასაკში ქართული ენის შესწავლის შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ სასკოლო მზაობის პროგრამაში ჩაერთნენ არაქართულენოვანი სკოლამდელი დაწესებულებებიც. ამ პროგრამაზე ხელმისაწვდომობა ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის. აღნიშნული პროგრამის დასაწერად, აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულით ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული მუნიციპალიტეტებიდან (ახალქალაქი, ახალციხე, ნინოწმინდა, ახმეტა, ლაგოდეხი, საგარეჯო, ბოლნისი, გარდაბანი, მარნეული, წალკა, დმანისი) სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის“ მიერ გადამზადდა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების 27 კოორდინატორი/მეთოდისტი, თუმცა არაქართულენოვანი სკოლამდელი დაწესებულებების ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და მასწავლებლებს ჯერ კიდევ არ გაუვლიათ მოსამზადებელი პროფესიული განვითარების პროგრამები, რაც აუცილებელია ახალი სტანდარტების შესაბამისი პროგრამების დანერგვისათვის.

ამასთანავე გადასაჭრელია სასკოლო მზაობის პროგრამის ხელმისაწვდომობისა და არსებულ საბავშვო ბაღებში არასრულფასოვნად რეალიზების პრობლემა. აღნიშნული კომპონენტი დიდწილად განაპირობებს მოზარდებში ზოგადი განათლებისათვის მზაობასა და გავლენას ახდენს მათ შემდგომ განვითარებაზე.

ასევე, იკვეთება სასწავლო და მეთოდური მასალების შექმნისა და ეთნიკურ უმცირესობათა მშობლიურ ენებზე თარგმნის, სკოლამდელი განათლების აღმზრდელ-მასწავლებლების

¹¹ სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის შესრულების დასკვნითი შეფასება, www.smr.gov.ge

მომზადებისა და პროფესიული განვითარების მიმართულებით ქმედითი ნაბიჯების დროულად გადადგმის საჭიროება.

საყურადღებოა, რომ საქართველოში ადრეული ასაკის ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში ჩართულობის მაჩვენებელი 69,5%-ია, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში - 25,5% (საშუალოდ), რაც ევროპულ სამიზნე ნიშნულზე - 95%-ზე ნაკლებია. ჩარიცხვის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად დაბალია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სოციალურად დაუცველ და სოფლად მცხოვრებ ბავშვებში.¹²

3.2.2. ზოგადი განათლება

სამოქალაქო ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკისთვის ზოგადი განათლების შესაძლებლობების განვითარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, იმ მოქალაქეებს, რომელთათვისაც ქართული მშობლიური ენა არ არის, უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლება მიიღონ მათ მშობლიურ ენაზე, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროგრამის შესაბამისად („ზოგადი განათლების შესახებ“ კანონი, მუხლი 4, პუნქტი 3). ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეებისათვის ფუნქციონირებს 300-მდე არაქართულენოვანი საჯარო სკოლა და სექტორი (სკოლების საერთო რაოდენობის 14%), რაც პროპორციულია მოსწავლეთა რაოდენობის (52 000-მდე მოსწავლე, საერთო რაოდენობის 10%). არაქართულენოვანი სკოლებისა და სექტორების უმრავლესობა განლაგებულია 76,7% სოფლის და 23,3 % ქალაქის ტიპის დასახლებებში.

2020 წლის მდგომარეობით, არაქართულენოვანი სკოლის პედაგოგები მასწავლებელთა საერთო რაოდენობის 10%-ს (6715) შეადგენენ. მათი უმეტესობა - 43,40% აზერბაიჯანულენოვანია, 39,70% - სომხურენოვანი და 16,90% - რუსულენოვანი. სკოლების უმრავლესობაში სასწავლო პროცესი რამდენიმე სექტორზე პარალელურად მიმდინარეობს (ქართულ-აზერბაიჯანული, ქართულ-რუსული, ქართულ-სომხური, ქართულ-აზერბაიჯანულ-რუსული და ქართულ-რუსულ-სომხური სექტორები).

¹² საქართველოში სკოლამდელი განათლების ხარისხის კვლევა, 2018, UNICEF, <https://www.unicef.org/georgia/media/1236/file/Preschool%20Quality%20Study.pdf>

მასწავლებელთა რაოდენობა სწავლების ენის მიხედვით¹³

აზერბაიჯანულენოვანი	2914	43.40%
სომხურენოვანი	2668	39.70%
რუსულენოვანი	1133	16.90%
სულ:	6715	100.00%

არაქართულენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია ყველა იმ საგნის სწავლება, რომელიც ისწავლება ქართულენოვან სკოლებში. საგნების უმრავლესობა ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენებზე ისწავლება, თუმცა საზოგადოებრივი მეცნიერებების (ისტორია, გეოგრაფია და სამოქალაქო განათლება) სწავლება სავალდებულოა ქართულ ენაზე. აღნიშნულის გათვალისწინება ჯერჯერობით ნაწილობრივ, ან მხოლოდ ზოგიერთ სკოლაში ხდება, პედაგოგებში ქართული ენის ცოდნის ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე საკადრო რესურსების დეფიციტის გამო. ამავე მიზეზით ზოგადი განათლების ხარისხი კვლავ გამოწვევად რჩება სხვა საგნების სწავლების ნაწილშიც. 2020 წლის მდგომარეობით, აღნიშნულ სკოლებში დასაქმებულ მასწავლებელთა 62.7%-ზე მეტს პრაქტიკოსის სტატუსი აქვს, რაც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის მიხედვით ყველაზე დაბალი საფეხურია და პირდაპირ აისახება სწავლების ხარისხზე. არაქართულენოვან სკოლებში უფროსი კატეგორიის მასწავლებლის სტატუსს მასწავლებელთა 24.5% ფლობს და მხოლოდ 1% შედის წამყვანი მასწავლებლის კატეგორიაში, ხოლო მენტორის სტატუსი მხოლოდ 7 მასწავლებელს აქვს, რაც არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა საერთო რაოდენობის 0,1%-ს შეადგენს.

ამასთანავე, არაქართულენოვან მოსწავლეებს არათანაბარ საგანმანათლებლო გარემოს უქმნის არაქართულენოვანი სკოლებში ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის აცდენა ქართულენოვან სკოლებთან მიმართებით, ასევე, ძველი პროგრამების შესაბამისი სახელმძღვანელოების გამოყენება და მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამების არასისტემურობა.

განათლების პოლიტიკის მთავარი აქცენტი მასწავლებლების სათანადო მომზადებაზე კეთდება. სპეციალური სახელმწიფო პროგრამები ითვალისწინებს რეგიონებში ახალგაზრდა, პროფესიონალი და მაღალი მოტივაციის კადრების წარგზავნას, მათ შორის ისეთი ორენოვანი პედაგოგების, რომლებმაც მიიღეს პროფესია ე.წ. „1+4 საგანმანათლებლო პროგრამის“

¹³ სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის შესრულების დასკვნითი შეფასება, www.smr.gov.ge

ფარგლებში და მაღალ დონეზე ფლობენ სახელმწიფო და მშობლიურ ენებს. მათთვის სახელმწიფო განსაკუთრებულ პირობებს ქმნის, როგორც ანაზღაურების, ასევე საცხოვრებელი პირობების კუთხით. თუმცა, არაქართულენოვანი სკოლების მოთხოვნა ქართული ენისა და ლიტერატურის ქართულენოვან პედაგოგებზე ჯერ დაკმაყოფილებული არ არის.

ქართული ენის სწავლების პოლიტიკის გასაძლიერებლად მნიშვნელოვანი გზავნილია კვლევის შედეგები (შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2019 წ. „სახელმწიფო შეფასება - ქართული, როგორც მეორე ენა“), რომელშიც ნათლად ჩანს, რომ არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეების უმეტესობას აქვს სახელმწიფო ენის სწავლის სურვილი, ხოლო მათი მშობლების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ქართული ენის ცოდნა მოსწავლეს დასაქმებასა და ინტეგრაციაში დაეხმარება.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეებისათვის მეზობელი ქვეყნებიდან შემოტანილი მშობლიური ენის სახელმძღვანელოების შინაარსი ხელს უშლის საქართველოსთან, როგორც სამშობლოსთან იდენტიფიცირებას და მათში მეტწილად გაურკვევლობას ქმნის. მნიშვნელოვანია აღნიშნული საკითხის დროულად მოგვარება და სახელმძღვანელოების საქართველოში შემუშავება. ასევე გადასაჭრელია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: მულტილინგვური განათლების ეფექტიანი მოდელის შერჩევა და დანერგვა, საგნობრივი სახელმძღვანელოების დროული თარგმანი, მულტიკულტურული განათლება, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება. რიგ სკოლებში მწვავედ დგას სასკოლო ინფრასტრუქტურისა და რესურსების განვითარების საჭიროება, მათ შორის სასწავლო მასალების, კომპიუტერული ტექნიკისა და ლაბორატორიების.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში მოსწავლეთა განათლებაში ჩართულობის მაჩვენებელი საგრძნობლად დაბალია საშუალო საფეხურზე, რაც მკვეთრად ჩამორჩება ქართულენოვანი სკოლების მაჩვენებლებს. აღნიშნულ სკოლებში გამოწვევად რჩება მოსწავლეების დასწრება და სწავლის მიტოვება, რაც ძირითადად მოსწავლეთა ანაზღაურებად დასაქმებას უკავშირდება. გოგონების მხრიდან სწავლის მიტოვების მიზეზი კი, უმეტესად ადრეული ქორწინებაა.


3.2.3. უმაღლესი განათლება

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგიის ფარგლებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდებისთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის მიზნით შემუშავებულია სპეციალური საშეღავათო პოლიტიკა¹⁴,

¹⁴ახალგაზრდები პროგრამაზე ირიცხებიან მშობლიურ ენაზე ერთი გამოცდის ჩაბარებით - სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე (ზოგადი უნარების ტესტი) და ოსურ, აფხაზურ ენებზე (მშობლიური ენის ტესტი)

რომელიც გულისხმობს „ქართული ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის“¹⁵ (ე.წ. „1+4 საგანმანათლებლო პროგრამა“) გავლის შემდგომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასურველ სპეციალობაზე ჩარიცხვას. აღნიშნულმა უნიკალურმა და გამარტივებულმა მიდგომამ არაქართულენოვან აბიტურიენტებს გზა გაუხსნა უმაღლესი განათლებისკენ. თუ მანამდე ქართული ენის არცოდნის გამო ახალგაზრდები უმაღლესი განათლების მისაღებად დიდწილად მეზობელ ქვეყნებს ანიჭებდნენ უპირატესობას, აღნიშნულმა პროგრამამ დიამეტრულად შეცვალა უმაღლესი განათლების მიმართ დამოკიდებულება, გაზარდა განათლების მიღების მოტივაცია, პრიორიტეტული გახდა უმაღლესი განათლების მიღება საქართველოს უნივერსიტეტებში. შესაბამისად, პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა 2010 წელთან შედარებით (247 აბიტურიენტი), თითქმის 5-ჯერ გაიზარდა და 2020 წელს მათმა რაოდენობამ 1191-ს მიაღწია (იხ. დიაგრამა).

დიაგრამა. „1+4 საგანმანათლებლო პროგრამის“ სტუდენტების რაოდენობა წლების მიხედვით



პროგრამის კურსდამთავრებულების სახით, დღეს, ქვეყანას უკვე ჰყავს კარგად მომზადებული ახალგაზრდები, რომლებიც მშობლიურ ენასთან ერთად ფლობენ სახელმწიფო ენას, აქვთ ცოდნა და პროფესიული უნარ-ჩვევები და აქტიურად არიან ჩართული საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. სტუდენტების დამოკიდებულებების კვლევა 2013 და 2016

¹⁵აკაკლავერიანის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის/ვეტერინარის ან დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამა“ - ე.წ. „1+4 საგანმანათლებლო პროგრამა“

წლების დინამიკაში აჩვენებს პროგრამისადმი პოზიტიური შეფასების ზოგადი ზრდის დინამიკას.¹⁶ „კვოტირების სისტემის შედეგად მკვეთრად გაიზარდა ჩაბარების მსურველთა რაოდენობა“. თუმცა, აღსანიშნავია, „რომ საბაკალავრო დონეზე ჩარიცხულ სტუდენტებს გააჩნიათ გარკვეული პრობლემები, რაც ზოგიერთ შემთხვევაში ფინანსურ პრობლემებს და ზოგიერთ შემთხვევაში ენობრივ ან აკადემიურ მოუძაადებლობას უკავშირდება“¹⁷. შესაბამისად, უნივერსიტეტის დამთავრების მაჩვენებელი არის საკმაოდ დაბალი (დაახ. 30%) და მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა პოპულარულია ახალგაზრდებში, მასზე მოთხოვნა მზარდია და უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით უალტერნატივოდ მიიჩნევა, უახლესი პერსპექტივების გათვალისწინებით, დგას პროგრამის განვითარების საჭიროება, როგორც შინაარსობრივი და მეთოდოლოგიური მიმართულებით, ისე ორგანიზაციული კუთხით, რათა კიდევ უფრო მეტად ეფექტური გახდეს როგორც განათლების მიღების, ისე ინტეგრაციის კუთხით“.

სპეციალობების მიხედვით, არაქართულენოვანი სტუდენტების არჩევანის უდიდესი ნაწილი მოდის ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაზე - 37%, ასევე მაღალი ხვედრითი წილი აქვს ჰუმანიტარულ მეცნიერებების პროგრამებსაც - 27%, აგრეთვე იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებებს. ძალიან დაბალია ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნების ხვედრითი წილი. მნიშვნელოვნად არის გაზრდილი განათლების მიმართულების წილი და ის მეთორმეტეკლასელებში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელების მსურველთა 21%-ს შეადგენს, რაც ცალსახად პოზიტიური ტენდენციაა და იძლევა შესაძლებლობას არაქართულენოვანი სკოლებისთვის მომავალი მასწავლებლების ეფექტურად მოსამზადებლად¹⁸.

3.2.4. პროფესიული და ზრდასრულთა განათლება

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა სრულფასოვანი ინტეგრაციისთვის პროფესიული და ზრდასრულთა განათლება წარმოადგენს ერთ-ერთ პრიორიტეტულ კომპონენტს, რადგან ის არის სწრაფი დასაქმებისა და სოციალურ-ეკონომიკური აქტივობების წამოწყების უმნიშვნელოვანესი წინაპირობა. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის პროფესიულ განათლებაში ჩართვისთვის ენის ბარიერის მოხსნის მიზნით განხორციელდა პროფესიულ პროგრამებში ქართული ენის სასწავლო კურსის ინტეგრირება. ამავდროულად, პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლებლების ქსელის

¹⁶ საშელავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში 2010-2019, გვ. 99

¹⁷ Ibid, გვ. 46

¹⁸ Ibid, გვ. 57

გაფართოების შედეგად გაიზარდა საცხოვრებელ ადგილთან ახლოს პროფესიული განათლების მიღების მისაწვდომობა.

2016 წლიდან, არაქართულენოვან აპლიკანტებს აქვთ შესაძლებლობა პროფესიული ტესტირება აზერბაიჯანულ, სომხურ ან რუსულ ენაზე გაიარონ და სახელმწიფო დაფინანსებით ჩაირიცხონ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ქართული ენის მოდულის დასრულების შემდგომ კი, დაეუფლონ სასურველ პროფესიას. აღნიშნული ინიციატივის წარმატებამ განაპირობა პროფესიული განათლებით დაინტერესებული არაქართულენოვანი პირების მხრიდან მოთხოვნის მნიშვნელოვანი ზრდა, რის საპასუხოდაც სახელმწიფომ შემხვედრი ნაბიჯები გადადგა და 2020 წელს სამინისტრომ დაიწყო მუშაობა პროფესიული განათლების სივრცეში, სახელმწიფო ენის პროგრამის განვითარებაზე, რომელიც სამომავლოდ კიდევ უფრო გაზრდის სწავლების ხარისხსა და ხელმისაწვდომობას ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის.

2020 წლის მდგომარეობით, ტესტირების მშობლიურ ენაზე გავლის სურვილი გამოთქვა 432-მა პირმა, მათგან 223 ჩაირიცხა შესაბამის პროგრამაზე. სამომავლოდ კი, მეტი ძალისხმევა იქნება გაწეული ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ამ ტიპის პროგრამების შეთავაზების მიმართულებით, რადგან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შესაძლებლობა გაჩნდა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ დამატებით ორ მუნიციპალიტეტში - მარნეული და ახალქალაქი.

2019 წლიდან პროფესიული განათლების სისტემაში ზრდასრულთა განათლების სისტემის განვითარება დაიწყო. ზრდასრულებისათვის შეთავაზებულია დასაქმებაზე ორიენტირებული მოკლევადიანი კურსები¹⁹. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა პროფესიული უნარების განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვანი აქტორია სსიპ „ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა“, რომელიც არსებულ საჭიროებებსა და ახალ გამოწვევებზე საპასუხოდ მოკლე დროში შეიმუშავებს და ახორციელებს საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარებისა და კონსულტირების პროგრამებს, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობის გაძლიერების მიზნით ქმნის მიზნობრივ ტრენინგ-მოდულებსა და უზრუნველყოფს სამიზნე სეგმენტის წარმომადგენლების ჩართულობას.

3.3. მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მხარდაჭერა

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკა ითვალისწინებს ერთიან მიდგომას როგორც მრავალრიცხოვანი, ისე მცირერიცხოვანი ეთნიკური

¹⁹ წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

უმცირესობების წარმომადგენლების მიმართ, რაც კულტურული იდენტობის დაცვასა და მხარდაჭერას, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ჩართულობის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. ამავდროულად, გათვალისწინებულია თითოეული ჯგუფის ინტერესები და საჭიროებები.

მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უმრავლესობა ფლობს სახელმწიფო ენას, ზოგად განათლებას იღებს ქართულენოვან საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ინფორმირებული არიან სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების შესახებ, აქტიურად არიან ჩართულნი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერილია მათი კულტურის, ტრადიციების წარმოჩენა და პოპულარიზაცია, კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელება.

2016 წლიდან, სახელმწიფოს მხარდაჭერით პირველად დაინერგა მცირე ეთნიკური ჯგუფების მშობლიური ენების სწავლება, კერძოდ: ოსური (2 სკოლა), ჩეჩნური (7 სკოლა), ხუნძური (3 სკოლა), უდიური (1 სკოლა), ასირიული (1 სკოლა); ამ ენების სწავლება მოთხოვნის შესაბამისად მიმდინარეობს კახეთისა (ყვარელი, ლაგოდეხი, პანკისის ხეობა) და მცხეთა-მთიანეთის (სოფელი ქანდა) საჯარო სკოლებში.

მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ ბოშები, როგორც მოწყვლად გარემოში მცხოვრები თემი. მინიმალურია ბოშათა ჩართულობა მიმდინარე სოციალურ პროგრამებში და მათი აქტიურობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პრობლემად იკვეთება განათლების მიღებასთან ნეგატიური დამოკიდებულება, თუმცა პროცესი დაწყებულია და გაწეულმა ძალისხმევამ, ბოშა მოზარდების სკოლაში შეყვანამ და მათთვის სპეცმასწავლებლების მიერ შემუშავებულმა ინდივიდუალურმა გეგმებმა ხელი შეუწყო მათ სოციალიზაციასა და პოზიტიური განწყობების გაჩენას საგანმანათლებლო აქტივობების მიმართ. ბოშათა ინტეგრაციის პროცესში გარკვეული პოზიტიური ცვლილებებიც შეინიშნება სახელმწიფო ინსტიტუციების მიმართ დამოკიდებულებაში - ისინი სულ უფრო ხშირად მიმართავენ სამედიცინო (სამშობიარო) დაწესებულებებს, რაც ახალშობილებისთვის დაბადების მოწმობის გაცემას მნიშვნელოვნად ამარტივებს. ბოშათა თემისათვის კვლავ გამოწვევად რჩება სახელმწიფო სერვისების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. მიმდინარეობს ბოშათა რეგისტრაციის, საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მოწესრიგებისა და შესაბამისი სამართლებრივი სტატუსის დადგენის პროცესი. მიუხედავად იმისა, რომ ამ კუთხით ნაბიჯები გადაიდგა, მათ გარკვეულ ნაწილს ჯერ კიდევ არ აქვთ პირადობის მოწმობები. ამდენად, დგას საჭიროება კიდევ უფრო მეტი ძალისხმევა იქნეს მიმართული ბოშებისათვის სამართლებრივი დოკუმენტაციის მოსაწესრიგებლად. არსებული მდგომარეობა საჭიროებს კომპლექსურ ანალიზს. უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია მათი ზუსტი რაოდენობის დადგენა, ოფიციალური სტატისტიკის წარმოება, რაც საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ თემის საჭიროებებზე მორგებული და შედეგზე ორიენტირებული კონკრეტული ქმედებები.

3.4. სამოქალაქო-პოლიტიკური მონაწილეობა

ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო, პოლიტიკური და სოციალური ინტეგრაცია დემოკრატიული საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით ბოლო წლების განმავლობაში არაერთი პროექტი თუ ინიციატივა განხორციელდა, პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის თვალსაზრისით ხელშესახები შედეგებისთვის ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადასადგმელი.

თანასწორობის პრინციპების ეფექტიანი რეალიზებისთვის არსებით საკითხს წარმოადგენს თანაბარი საარჩევნო გარემოს განმტკიცება და ეთნიკური უმცირესობების მხრიდან გაცნობიერებული არჩევანის გაკეთების ხელშეწყობის კუთხით ცნობიერების ამაღლება. იმისათვის, რომ ცენტრალურ და თვითმმართველ სტრუქტურებში გაიზარდოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობა და მონაწილეობა, ასევე მნიშვნელოვანია საზოგადოების ინფორმირება და მიზანმიმართული საგანმანათლებლო საქმიანობა სამართლებრივი და სხვა უფლებების თაობაზე.

ქვეყანაში გამართულ საპარლამენტო, საპრეზიდენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ბოლო წლებში აღინიშნება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მონაწილეობის ზრდა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი იყო საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) როლი, რომლის მიერ ინტენსიურად ხორციელდებოდა საარჩევნო პროცესის შესახებ მოქალაქეთა ინფორმირება, საარჩევნო მოხელეთა მომზადება და გადამზადება, საარჩევნო დოკუმენტაციის თარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების საგრანტო დაფინანსება, რომლებიც საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისკენ არის მიმართული. აღნიშნულმა ღონისძიებებმა შედეგად მოიტანა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა პოლიტიკურ და საარჩევნო პროცესებში მონაწილეობის დინამიკის ზრდა.

მნიშვნელოვანია, რომ 2016-2020 წლებში საქართველოში გამართულ ორ საპარლამენტო არჩევნებში (2016 და 2020 წლები), ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებსა (2017) და საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში (2018) ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა პროცენტული წილი არსებითად არ შეცვლილა. შესაბამისად (8641 წარმომადგენელი)²⁰, ხოლო საარჩევნო ადმინისტრირების კურსები გაიარა და სერთიფიკატი მიიღო ეთნიკური უმცირესობის 3507-მა წარმომადგენელმა.

²⁰ სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის შესრულების დასკვნითი შეფასება, www.smr.gov.ge

ცხრილი. სტატისტიკური ინფორმაცია სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესახებ

არჩევნების დასახელება	სომხურენოვანი აზერბაიჯანულენოვანი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა (სულ)	და სომხურენოვანი აზერბაიჯანულენოვანი	აზერბაიჯანულენოვანი
საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნები	2 681	1 343	1 338
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნები	2 742	1 368	1 374
საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები	1 639	762	877
საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბერს გამართული არჩევნები	1 579	861	718


ამავე დროს მნიშვნელოვანია აღინიშნოს, არჩევნების მნიშვნელობის შესახებ საინფორმაციო კამპანიის წარმოებისა და საარჩევნო კულტურის გაძლიერების მიზნით მცირე გრანტების გაცემა სამოქალაქო ორგანიზაციებისა და ეთნიკურ უმცირესობათა თემებისათვის. 2015-2020 წლებში, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა საარჩევნო პროცესში მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით, დაფინანსდა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების 74-მდე პროექტი, რომელთა ბიუჯეტმა შეადგინა 2 000 000 ლარზე მეტი. პროექტების განხორციელების გეოგრაფიული არეალი სრულად მოიცავდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებს.

ჯერ კიდევ დაბალია მათი წარმომადგენლობის მაჩვენებელი ქვეყნის პოლიტიკურ ინსტიტუტებში. აღსანიშნავია, რომ 2016 წელს საქართველოს არჩეულ პარლამენტში ეთნიკური უმცირესობები წარმოდგენილნი იყვნენ 11 წევრით (რაც დეპუტატთა საერთო რაოდენობის 7.33%) ხოლო, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, მეათე მოწვევის პარლამენტში ეთნიკური უმცირესობების 6 წარმომადგენელია²¹. შესაბამისად, მეათე

²¹ სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის შესრულების დასკვნითი შეფასება, www.smr.gov.ge

მოწვევის პარლამენტში, წინა მოწვევის პარლამენტთან შედარებით, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ დეპუტატთა რაოდენობა 3.33 %-ით შემცირდა.

დიაგრამა. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების მიხედვით მეათე მოწვევის პარლამენტში ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი დეპუტატების რაოდენობა



ადგილობრივ არჩევით ორგანოებში 2017 წლის არჩევნების შედეგად (64-დან 21 მუნიციპალიტეტში) არჩეულია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი 165 პირი, თითოეული მუნიციპალიტეტიდან მინიმუმ ერთი კანდიდატი. რაც ნიშნავს, რომ ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების თვითმმართველობებში უმცირესობათა წარმომადგენლობა დაბალია. კერძოდ, ადგილობრივ საკრებულოში თითო წარმომადგენელი ჰყავს საშუალოდ 779 ქართველ ამომრჩეველს, საშუალოდ 1116 ეთნიკურად სომეხ ამომრჩეველს და საშუალოდ 2945 ეთნიკურად აზერბაიჯანელ ამომრჩეველს.²² აქედან გამომდინარე მმართველობისა და პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მონაწილეობის დამაბრკოლებელ ფაქტორად ხშირ შემთხვევაში სახელმწიფო ენის არაჯეროვანი ცოდნა და შესაბამისად, დაბალი მოტივაცია სახელდება.

²² http://csem.ge/wp-content/uploads/2018/06/Competing-for-Votes-of-Ethnic-Minorities_Geo.pdf?fbclid=IwAR1PUZUzKp7ghbK3KvnhQ-4k_SMgik3bWtmFi8uO55E5KqFzBbBloWWpDk

ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით 2016 წლიდან ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციებთან ამოქმედებულია საზოგადოებრივი საკონსულტაციო საბჭოები, რომელთა შემადგენლობაში შედიან ადგილობრივი თვითმმართველობების, სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე რეგიონში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები. გასული წლების განმავლობაში გაიმართა საბჭოების 19 შეხვედრა. სათათბირო საბჭოების ჩამოყალიბება და ამოქმედება, რაც ითვალისწინებს ეთნიკური უმცირესობების ჩართულობას ადგილობრივ დონეზე, წინ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა, აღნიშნული საბჭოების საქმიანობას აქვს ნაწილობრივ ფორმალური ხასიათი და საჭიროებს შემდგომ განვითარებასა და დახვეწას სხვადასხვა საკითხის განხილვაში. ამისთვის მნიშვნელოვანია პრობლემების იდენტიფიცირებასა და პრიორიტეტების განსაზღვრაში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უფრო ფართო ჩართულობის უზრუნველყოფა და მათ მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების სიღრმისეულ ანალიზი.

საჯარო სამსახურში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების ჩართვის, მათი კვალიფიკაციის ამაღლების, კონკურენტუნარიანობის გაზრდის და საბოლოო ჯამში, სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით, 2017 წელს ახალგაზრდებს (ე.წ. „1+4 საგანმანათლებლო პროგრამის“ ბენეფიციარებს) საპილოტე რეჟიმში შესაძლებლობა მიეცათ საჯარო სტრუქტურებში გაეველოთ სტაჟირება. ამავე წელს განხორციელდა პროგრამის ინსტიტუციონალიზაცია. პროგრამა წარმატებით გაიარა 300-მდე ახალგაზრდამ.

3.5. მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ სოციალიზაციასა და ზოგადად, სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში განსაკუთრებული როლი ენიჭება მედიაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია მათთვის გასაგებ ენებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და ერთიან საინფორმაციო სივრცეში ჩართვის ხელშეწყობა, რაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს დეზინფორმაციისა და მიმდინარე პროპაგანდის ფონზე. COVID-19-ის პანდემიით წარმოქმნილმა გამოწვევებმა კიდევ უფრო აქტუალური გახადა ეთნიკური უმცირესობების ცნობიერების ამაღლების საკითხი, მათთვის ინფორმაციის, როგორც სახელმწიფო, ისე მშობლიურ ენაზე ალტერნატიული გზებით მიწოდების საჭიროება. ასევე, მედიაწიგნიერების ამაღლებისა და დეზინფორმაციის პრევენციისთვის მიზნობრივი პროგრამების განხორციელება, რეგიონების ინტერნეტიზაცია და თანამედროვე ტექნოლოგიებთან წვდომის გაუმჯობესება.

საერთო ეროვნული და დემოკრატიული ფასეულობების გავრცელებისა და განმტკიცებისათვის დღის წესრიგში დგას სახელმწიფოში მიმდინარე სოციალური,

ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების შესახებ ინფორმირების, მედია-საკომუნიკაციო საშუალებებით ეთნიკურ უმცირესობათა თემატიკის გაშუქებისა და სახელმწიფოს განვითარებისთვის ცალკეული ეთნოსის წარმომადგენელთა საქმიანობის პოპულარიზაციის, შესაბამისი მედიაპროდუქტებით ტოლერანტობისა და კულტურული პლურალიზმის მხარდაჭერის საჭიროება.

„მაუწყებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლი ავალდებულებს საზოგადოებრივ მაუწყებელს „პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება“. შესაბამისად, აღნიშნული ინსტიტუცია ინფორმაციის გავრცელების თვალსაზრისით წამყვანი აქტორია, რომელიც ახორციელებს საინფორმაციო გადაცემის ტრანსლირებას ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ენის მატარებელი ხმოვანი ბილიკების თანხლებით. ასევე საზოგადოებრივი მაუწყებელი უზრუნველყოფს ვებპორტალის - www.1tv.ge-ის შვიდ ენაზე (ქართული, აფხაზური, ოსური, სომხური, აზერბაიჯანული, ინგლისური და რუსული) ფუნქციონირებას.

2017 წელს ეთნიკური უმცირესობების მედიაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშესაწყობად საზოგადოებრივმა მაუწყებელმა შეიმუშავა სპეციალური მედია სტრატეგია, რომლის მიზანია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს მათთვის გასაგებ ენაზე მიაწოდოს ინფორმაცია, ამავდროულად, ხელი შეუწყოს ქართულენოვან მოსახლეობაში ეთნიკური უმცირესობების კულტურის, ტრადიციების პოპულარიზაციასა და ქვეყნის ცხოვრებაში მათი როლისა და მონაწილეობის მნიშვნელობის წარმოჩენას.

ამავე მიზნით, სახელმწიფო წლების განმავლობაში დაფინანსების გზით განაგრძობს ბეჭდვითი მედიის ხელშეწყობას. რეგულარულად გამოიცემა სომხურენოვანი გაზეთი „ვრასტანი“ და აზერბაიჯანულენოვანი გაზეთი „გურჯისტანი“, რომლებიც ვრცელდება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, ასევე სასჯელაღსრულებისა და პრობაციის დაწესებულებებში. 2015-2019 წლებში გამოიცა სომხურენოვანი გაზეთი „ვრასტანი“ (2016 წ. - ყოველწლიურად 52 ნომერი, ტირაჟი 4000 ცალი; 2017-2019 წლებში, ყოველწლიურად 102 ნომერი, ტირაჟი - 3500) და აზერბაიჯანულენოვანი „გურჯისტანი“ (2016 წ. - ყოველწლიურად 53 ნომერი, ტირაჟი 4000 ცალი; 2017-2018 წლებში, ყოველწლიურად 93 ნომერი, ტირაჟი 2000; 2019 წელს, ყოველწლიურად 98 ნომერი; ტირაჟი 2000). წლიური სტატისტიკის თანახმად, გაზეთების ნომრების რაოდენობის ზრდა ფიქსირდება. სახელმწიფოს მხრიდან, ასევე უზრუნველყოფილია სტაბილური ფინანსური მხარდაჭერა.

აღნიშნული ღონისძიებების მიუხედავად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით მთელი რიგი პრობლემები ჯერ კიდევ გადასაჭრელია. მათ შორის, საზოგადოებრივი მაუწყებლითა და რეგიონული ტელევიზიების არხებით გასაგებ ენაზე მიწოდებული ინფორმაცია მწირია,

მიწოდების ხარისხი და ინტენსივობა გაუმჯობესებას საჭიროებს. მუნიციპალური ცენტრიდან მომორებულ ცალკეულ სოფლებში ინფორმაციის ძირითადი წყარო კვლავ მეზობელი ქვეყნების ტელეარხებია, ვინაიდან დასახლებულ პუნქტებს ხარვეზებით მიეწოდება ეროვნული სატელევიზიო მაუწყებლობის სიგნალი, ამავდროულად, მოსახლეობისთვის გასაგებ ენაზე თარგმნილი გადაცემები მათ საინფორმაციო ინტერესსა და მოთხოვნას დიდწილად ვერ აკმაყოფილებს. შედეგად ინფორმაციის მისაღებად უცხო ქვეყნის ალტერნატიულ საინფორმაციო არხებს ირჩევენ, რაც დიდწილად ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს მათ დამოკიდებულებაზე ქვეყანაში მიმდინარე პროცესების მიმართ, მთლიანად საინტეგრაციო პროცესებზე და ნოყიერ ნიადაგს უქმნის დეზინფორმაციის გავრცელებას.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ინფორმირებულობა და ცნობიერების ამაღლება ისეთ საკითხებზე, როგორც არის ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესები, სახელმწიფო პროგრამები და სერვისები, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკა, განათლების შესაძლებლობები და მხარდამჭერი პროგრამები, გენდერზე დაფუძნებული ძალადობა და ადრეული ქორწინება, დეზინფორმაცია და კიბერუსაფრთხოება, ანტიდისკრიმინაციული მექანიზმები და სხვა, მნიშვნელოვანი ბერკეტია სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესების ეფექტიანობის ასამაღლებლად.

ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით სახელმწიფო უწყებების მიერ წლების განმავლობაში ფართომასშტაბიანი საინფორმაციო და ცნობიერების ამაღლების კამპანიები ტარდება, რომელთა ფარგლებშიც მოსახლეობას მიეწოდება ინფორმაცია: განათლების, სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ეკონომიკის, ფინანსური ვალდებულებების, საქართველოს ევროპული არჩევანისა და მასთან დაკავშირებული სარგებლის, კანონმდებლობის, სიმულვილით მოტივირებული დანაშაულის, გენდერული თანასწორობისა და სხვა აქტუალური საკითხების შესახებ. აღნიშნულ აქტივობებს აქვს რეგულარული კამპანიური ხასიათი. თუმცა, გამოიკვეთა პროცესებში დამატებით ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების ჩართულობის გაზრდის საჭიროება, ასევე პირდაპირი კომუნიკაციის, მედიასაშუალებებისა და თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გზით ინფორმაციის ინტენსიური და ეფექტიანი მიწოდება-გავრცელების აუცილებლობა.

3.6. სოციალურ-ეკონომიკური პირობები და შესაძლებლობები

სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით მნიშვნელოვანია ქვეყანის ყველა მოქალაქისათვის თანასწორი სოციალურ-ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნა. ამ მიზნით მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკური

გაძლიერების ინიციატივების ხელშეწყობა, ასევე შესაბამის სახელმწიფო პროგრამებსა და სერვისებზე წვდომის გაუმჯობესება.

საქართველოს თითოეული მოქალაქის სოციალურ-ეკონომიკური თანასწორობა კანონმდებლობით გარანტირებულია. თუმცა, რიგ შემთხვევებში, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ეკონომიკური უფლებების რეალიზებისა და სოციალური სიკეთეებით სარგებლობის თვალსაზრისით ბარიერებს აწყდებიან სახელმწიფო ენის არცოდნის, გეოგრაფიული ფაქტორისა და ინფორმირებულობის დაბალი ხარისხის გამო. მნიშვნელოვანია ისეთი სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების განხორციელება, რომლებიც უპასუხებს ეთნიკური უმცირესობების საჭიროებებს, ამავედროულად, მისცემს მათ შესაძლებლობას საქმიანი კონტაქტები დაამყარონ ქართულენოვან მოსახლეობასთან ერთობლივი სოციალურ-ეკონომიკური პროექტების განხორციელების გზით.

ბოლო წლებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში მნიშვნელოვნად გაიზარდა განხორციელებული სახელმწიფო პროექტების რაოდენობა, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მხარდამჭერი პროგრამებისა და სერვისების მიწოდება. ადგილზე არსებული პრობლემების გადაჭრა მიმდინარეობს მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებით, როგორებიცაა: სოფლების გაზიფიკაცია, შიდა გზების, საირიგაციო და სასმელი წყლის სისტემების მოწყობა, გარეგანათების რეაბილიტაცია და სხვა. ასევე, განხორციელდა რიგი პროგრამები და პროექტები სკოლამდელი დაწესებულებების, სკოლების, ამბულატორიების მშენებლობისა და რეაბილიტაციის მიმართულებით. ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობა მოწმობს სახელმწიფოს მისწრაფებაზე, მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს და ინვესტიცია განახორციელოს აღნიშნულ რეგიონებში და აამაღლოს იქ მცხოვრები ეთნიკურ უმცირესობების წარმომადგენელთა სოციალურ-ეკონომიკურ შესაძლებლობები. 2015-2020 წლებში სამცხე-ჯავახეთში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების (რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში) ჯამური ღირებულება შეადგენდა 136 929 861 ლარს, ქვემო ქართლში 191 772 326 ლარს, ხოლო კახეთში 46 801 486 ლარს. ამავე დროს ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული მუნიციპალიტეტების მაღალმთიან სოფლებში, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის ფარგლებში, განხორციელებული პროექტების ჯამური ღირებულება შეადგენდა: სამცხე-ჯავახეთში -11 050 214 ლარს; ქვემო ქართლში - 3 141 601 ლარს; ხოლო კახეთში - 1 854 340 ლარს.

სახელმწიფო სერვისების, პროგრამებისა და სიახლეების შესახებ საინფორმაციო ცნობიერების ამაღლების კამპანიებს რეგულარული ხასიათი მიეცა. მათ შორის კარდაკარ პრინციპით და მოსახლეობასთან პირისპირ დიალოგისა და კონსულტაციების გზით. სახელმწიფო უწყებები

სოციალური და ეკონომიკური მიმართულების სექტორული სტრატეგიების შემუშავებისა და პროგრამების განხორციელებისას ითვალისწინებენ ეთნიკურ უმცირესობათა საჭიროებებს.

რეგიონების მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების კუთხით ბოლო წლებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტურიზმის სხვადასხვა სახეობის განვითარებას, ადგილობრივი წარმოების, ხალხური რეწვისა და შემოქმედებითი კულტურის მხარდაჭერას, საფესტივალო და საგამოფენო შესაძლებლობების პოტენციალის რეალიზებას. აღნიშნული საკითხი ბოლო წლებში აქტუალური გახდა ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებშიც. 2018 წელს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ“ პროგრამის - „ინტერნეტი განვითარებისთვის“ ფარგლებში, დაიწყო ინტერნეტ ვაუჩერების გაცემა. ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში (ქვემო ქართლი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი) ჯამში გაცემულია 126 ერთეული 150-ლარიანი ვაუჩერი.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მიღწევისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება დაზუსტებული სტატისტიკური მონაცემების გამოყენებას. მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელების კუთხით გამოწვევას წარმოადგენს სტატისტიკური მონაცემების მოგროვების მეთოდოლოგია და სამოქალაქო აღწერის ფორმულარები, რომლებიც არ იძლევა საშუალებას ეთნიკური უმცირესობების სტატისტიკური მონაცემების შესახებ ინფორმაციის მიღებისა და მიმდინარე პროცესების დინამიკის ანალიზისთვის. ობიექტური და ხელმისაწვდომი მონაცემების არსებობა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია დასაქმების პრობლემების ანალიზისა და მოგვარების, რეგიონის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვისთვის. ამ მიმართულებით დგას ოფიციალური სტატისტიკის სისტემის მოწესრიგებისა და განვითარების უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარების საჭიროება.

3.7. კულტურათაშორისი დიალოგი

მრავალეთნიკურ საზოგადოებაში, რომელიც მუდმივად განიცდის ტრანსფორმაციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება შემწყნარებლობასა და განსხვავებულისადმი პატივისცემას. დემოკრატიული, ადამიანის უფლებებისა და თანასწორობაზე ორიენტირებული ღირებულებების დასამკვიდრებლად მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, თუმცა განხორციელებული კვლევები მოწმობს, რომ საქართველოს მოქალაქეების 37.36%-ს შესაბამისი ინფორმაციის ნაკლებობიდან გამომდინარე ეთნიკურ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებით

არ აქვს პოზიტიური დამოკიდებულება²³. შესაბამისად, მნიშვნელოვანია როგორც დედაქალაქში, ასევე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა.

თანასწორი და ტოლერანტული გარემოს დამკვიდრების კუთხით დგას კულტურთაშორისი დიალოგის ხელშეწყობის, საქართველოში მცხოვრები ეთნოსების დაახლოებისა და ერთიანი მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლების საჭიროება. ეთნიკური უმცირესობების იდენტობისა და თვითმყოფადობის დაცვა და ხელშეწყობა მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო სამოქალაქო თანასწორობის სტრატეგიის განხორციელების პროცესში, რამდენადაც სხვადასხვა ეთნოსის სოციო-კულტურული იდენტობის განმსაზღვრელი ღირებულებები, მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ტრადიციები ქმნის ქვეყნის უნიკალურ კულტურულ მრავალფეროვნებას, რომელთა პოპულარიზაციის ხარისხიც მნიშვნელოვნად განაპირობებს ჩვენს მრავალეთნიკურ საზოგადოებაში ტოლერანტული განწყობებისა და ურთიერთპატივისცემის განმტკიცებას. ამ მიზნით, სახელმწიფო აფინანსებს თეატრების, მუზეუმების, კულტურული ცენტრების საქმიანობას, ხორციელდება ისეთი პროექტები, როგორცაა: ალბომებისა და თარგმანების გამოცემა, ლიტერატურულ-კულტურული სადამოების გამართვა, ფესტივალები - „მრავალფეროვანი საქართველო“, „მრავალეთნიკური ხელოვნების ფესტივალი ერთი ცის ქვეშ-კულტურათა დიალოგი“, „ყველა კულტურა განსხვავებული, მაგრამ თანასწორია“ და სხვა, რომლებიც მიმართულია ეთნოკულტურების პოპულარიზაციასა და მხარდაჭერაზე.

ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით მიმდინარეობს ძეგლების ინვენტარიზაცია, რეაბილიტაცია და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭება. სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსებულია ეთნიკური უმცირესობების კულტურის ამსახველი დაწესებულებები, მათ შორის მუზეუმები, თეატრები, ბიბლიოთეკები და კულტურული ცენტრები.

თუმცა, ინტერკულტურული დიალოგის წახალისების მიზნით საჭიროა აღნიშნული მიმართულებით საქმიანობის კიდევ უფრო გაძლიერება და სხვადასხვა ეთნოსების წარმომადგენელთა ერთობლივი ჩართულობის უზრუნველყოფა.

3.8. გენდერული თანასწორობა

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების პროცესში გენდერული ნიშნით დისკრიმინაციასთან ბრძოლა, საზოგადოებრივი

²³ Caucasus Research Resource Centres (CRRG-Georgia), „Hate Crime, hate speech and discrimination in Georgia, Attitudes and Awareness“, baseline study of the Council of Europe project „Fight against discrimination, hate crimes and hate speech in Georgia“, November 2018

შეხედულებების ტრანსფორმაცია, ქალთა მონაწილეობის გაზრდა გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და პოლიტიკურ თუ სოციალურ-ეკონომიკურ სფეროებში გამჭოლ პრიორიტეტად იკვეთება. შესაბამისად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების გაძლიერება სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია.

გენდერული პრობლემატიკა ძირითადად გოგონებისა და ქალების განათლების მიღების სრული ზოგადი და უმაღლესი განათლების მიღების ჯერ კიდევ არსებულ ბარიერებსა და სამოქალაქო-პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის კუთხით ვლინდება, რაც დიდწილად სტერეოტიპების გავლენას, ადამიანის უფლებებისა და განვითარების მრავალფეროვანი შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობას უკავშირდება. სწავლის საფეხურების მიხედვით პროპორციების ცვლილება შესამჩნევია აზერბაიჯანულენოვან სკოლებში. თუკი საბაზო საფეხურზე აზერბაიჯანულენოვან სკოლებში გოგონები 47,2% შეადგენენ, უკვე საშუალო საფეხურზე მათი წილი 42.10%-მდე მცირდება.

სკოლების მიერ იდენტიფიცირებულია არაერთი შემთხვევა, როდესაც მშობლები ხელს უშლიან გოგონების მხრიდან უმაღლესი განათლების მიღებას. თუმცა, ზოგადი განათლების მიღების პროცესების შემაფერხებელ ფაქტორადაც გვევლინება საშუალო საფეხურზე სწავლის მიტოვების განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებელი ადრეული ქორწინების ან ოჯახის გადაწყვეტილების გამო, რაც ნეგატიურად აისახება როგორც გოგონების ჯანმრთელობაზე, ისე შემდგომ განათლებასა და განვითარებაზე, პოტენციალის რეალიზებასა და შემდგომ ეკონომიკურ აქტივობაზე.

ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი ქალების უმეტესი ნაწილი ქონებრივად და ეკონომიკურად ოჯახზე დამოკიდებული. დამკვიდრებული ტრადიციის შესაბამისად ისინი იშვიათად აცხადებენ პრეტენზიას ოჯახის ქონებიდან და მემკვიდრეობიდან წილის მიღებაზე.

ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი ქალების პოლიტიკური და სამოქალაქო ჩართულობის გაძლიერებისთვის, ქონებრივი და ეკონომიკური დამოუკიდებლობის შესაძლებლობის შექმნისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათ განათლებასა და ეკონომიკური და ბიზნეს აქტივობების ხელშეწყობას. ქალების გაძლიერება უზრუნველყოფს მათი უფლებების დაცვას, ფინანსებსა და სხვა რესურსებზე წვდომის გაუმჯობესებას, თავისუფალი არჩევანის უფლების რეალიზებასა და განვითარებას.

ბოლო წლების განმავლობაში, სახელმწიფო მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა ქალების გაძლიერებას მათი ინფორმირების, სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე ცნობიერების ამაღლების გზით. ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში ამოქმედდა „ქალთა ოთახები“, როგორც ქალების მხარდამჭერი მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც რეგულარულად იმართებოდა შეხვედრები ქალთა უფლებების, ადრეული ქორწინების, ოჯახში ძალადობისა და გენდერული თანასწორობის თემებზე. ამავე მუნიციპალიტეტებში

სპეციალური მომზადების კურსი გაიარა 100-მდე გამომძიებელმა ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის ეფექტიანი გამოძიების კუთხით.

შესაბამისად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია გენდერული ნიშნით უთანასწორობის აღმოფხვრის მიზნით ქალთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა, მათი ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მხარდაჭერა და წახალისება, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიმართულებით საჭიროებებზე დაფუძნებული სამოქმედო გეგმის შემუშავება და მისი ეფექტიანად განხორციელება.

3.9. სახელმწიფო ადმინისტრირებისა და სამართალდამცავი ორგანოებისა და მექანიზმების ხელმისაწვდომობა

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის სახელმწიფო ადმინისტრირების, სამართალდამცავი ორგანოებისა და მექანიზმების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს თანასწორუფლებიანი და სამართლიანი გარემოს შექმნას, მათი მხრიდან ამ ორგანოების მიმართ ნდობის გაძლიერებას და თანამშრომლობის მზაობას.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის სახელმწიფო ადმინისტრაციული წარმოების, გამოძიებისა და სასამართლოების ეფექტიანი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის კუთხით ხშირ შემთხვევებში ბარიერად სახელმწიფო ენის არასათანადო ცოდნა და თარგმანის ხარვეზები სახელდება, რაც მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს ხელისუფლების ორგანოებთან ისეთი სამართლებრივი ურთიერთობების დამყარების პროცესში, როგორცაა: ადმინისტრაციული წარმოების ინიცირება, მართლმსაჯულების განხორციელება და სხვა. შესაბამისად, ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოსთან ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რომელთაგან დიდწილად ხელი შეუწყო არსებული ბარიერების მოხსნას, თუმცა ამ მიმართულებით მეტი ძალისხმევის მიმართვაა საჭირო.

გამოკვეთილია სამართალდამცავ ორგანოებში ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლობის გაძლიერების საჭიროება. სამოქმედო გეგმით სახელმწიფოს აღებული აქვს ვალდებულება სამართალდამცავ ორგანოებში მოიზიდოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ორგანოების წარმომადგენლების და სხვადასხვა სპეციალობის მქონე პირების ჩართულობა საგრძნობლად გაიზარდა სსიპ „ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის“ მიზნობრივ პროგრამებში, ჯერ კიდევ დაბალია მონაწილეობის საერთო მაჩვენებელი.

3.10. ახალგაზრდების მონაწილეობა

ახალგაზრდობის როლი უმნიშვნელოვანესია ქვეყნის განვითარების პროცესში. ეს არის ძალა, რომელიც ქმნის მომავალს, ისწრაფვის ინოვაციებისა და განვითარებისკენ. შედეგად კი, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში.

ახალგაზრდების პოტენციალის სრულად რეალიზებისთვის, მათი განვითარების უზრუნველსაყოფად და კეთილდღეობის მისაღწევად, უკეთესი მომავლის პერსპექტივისთვის აუცილებელია სათანადო პირობების შეიქმნა.

აღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელოვან გამოწვევად განიხილება შემდეგი საკითხები: ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების საზოგადოებრივ ცხოვრებასა და დემოკრატიულ პროცესებში ნაკლები ჩართულობა, დასაქმების პრობლემა, ხელმისაწვდომი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სიმცირე, არაფორმალური განათლებისა და ახალგაზრდული საქმიანობის პროგრამებზე არასათანადო ხელმისაწვდომობა, რეგიონებში თავშეყრის, კულტურული და სპორტული აქტივობების, გართობისა და დასვენებისთვის საჭირო სივრცეების ნაკლებობა.

ასევე გამოწვევად რჩება ისეთი კულტურული და სპორტული აქტივობები, რომლებშიც ჩართულნი იქნებიან სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელი ახალგაზრდები ერთობლივად, რაც პოზიტიურ გავლენას მოახდენს მათ ჯანმრთელობასა და ცხოვრების ხარისხზე, დაახლოებასა და ურთიერთპატივისცემაზე და საბოლოოდ ხელს შეუწყობს სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესს.

ამავდროულად, საჭიროა გაიზარდოს პროგრამების რაოდენობა და ამალდეს მათი ხარისხი, რომელიც ახალგაზრდებს მისცემს საკვანძო, მათ შორის, სამეწარმეო კომპეტენციების განვითარების შესაძლებლობას. იმ ახალგაზრდებისათვის, რომელთაც სურთ სამეწარმეო საქმიანობაში გახდნენ წარმატებულნი, შესთავაზებს პროფესიული გადამზადებისა და სატრენინგო პროგრამებს, ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის პროექტების განხორციელებაში, სამეწარმეო საქმიანობის წამოწყებაში, თანამედროვე და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვაში, ასევე ეთნოკულტურული პროდუქტების შექმნასა და პოპულარიზაციაში. არაფორმალური განათლების კონტექსტში დაეხმარება მათ გამჭოლი უნარების (ლიდერობა, კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა, კრიტიკული აზროვნება, პრობლემების გადაწყვეტა და ა.შ.) განვითარებაში.

IV. სტრატეგიის გრძელვადიანი ხედვა, მისია და ღირებულებები

საქართველოს ხელისუფლების, მათ შორის სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხედვა ემყარება დემოკრატიული, თანასწორი და თანაბარუფლებიანი საზოგადოების მშენებლობის პრინციპებს. შესაბამისად, წინამდებარე სტრატეგიის გრძელვადიანი ხედვა ეფუძნება დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს არსს, რაც გულისხმობს თანასწორობის, როგორც საზოგადოების ერთ-ერთი უმთავრესი ფასეულობის აღიარებას და მის ეფექტიან უზრუნველყოფას, ყველა პირობის გათვალისწინებას ისეთი გარემოს შესაქმნელად, სადაც დაცულია ეთნიკურად მრავალფეროვანი საზოგადოების თითოეული წევრის იდენტობა და კულტურა, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები აქტიურად და ეფექტიანად მონაწილეობენ ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ თუ კულტურულ ცხოვრებაში. სტრატეგიის ხედვა ეყრდნობა ქვეყნში არსებულ ისტორიულ გამოცდილებასა და ტრადიციებს, პოლიტიკურ და კულტურულ კონტექსტს, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სიტუაციის ანალიზსა და შეესაბამება ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და ევროინტეგრაციის პერსპექტივას.

სტრატეგიის ხედვაა თანასწორი, თანაბარუფლებიანი, ინკლუზიური საზოგადოების განმტკიცება. მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარების ინტერესებისა და არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე, ჩვენი მრავალეთნიკური საზოგადოების შესაძლებლობების სრულფასოვნად რეალიზებისთვის ეფექტური პრაგმატული პოლიტიკის განსაზღვრა და განხორციელება. სტრატეგიის მომავალი ათწლიანი ხედვა აღნიშნულ პრინციპზეა დაფუძნებული.

სტრატეგიის მისიაა სახელმწიფოში თანასწორი, ტოლერანტული და მრავალფეროვანი გარემოს უზრუნველყოფა და განმტკიცება ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების, არსებული რესურსებისა და ინოვაციური მიდგომების გამოყენებით, საზოგადოების ჩართულობითა და პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით. ეთნიკური უმცირესობების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკა დაიგეგმა და განხორციელდება უფლებების დაცვის, თანასწორობის, ინკლუზიის, კულტურული მრავალფეროვნების პრინციპებითა და პერსპექტივით. პოლიტიკა ითვალისწინებს აქტიურ ინტერაქციას არა მარტო ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებთან, არამედ ქართულენოვან მოსახლეობასთანაც.

სტრატეგიის ძირითადი ღირებულებები და პრინციპები

წინამდებარე სტრატეგია ეფუძნება სამართლებრივი, სოციალური და პოლიტიკური თანასწორობის იდეაზე დაფუძნებული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ძირითად

პრინციპებს და იზიარებს საყოველთაოდ აღიარებულ უნივერსალურ ღირებულებებს. კერძოდ, ესენია:

- ❖ კანონის უზენაესობა;
- ❖ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა;
- ❖ თანასწორობა და თანაბარი შესაძლებლობები;
- ❖ სამართლიანობა, გამჭვირვალობა და კოორდინაცია;
- ❖ კულტურული მრავალფეროვნება;
- ❖ ინკლუზიურობა;
- ❖ პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება;
- ❖ ქვეყნის გამლიერებასა და განვითარებაში წვლილის შეტანა;

სტრატეგიის სამიზნე ჯგუფები

- ❖ საქართველოს მოქალაქეები, განურჩევლად მათი ეთნიკური კუთვნილებისა;
- ❖ სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანების შესრულებასთან;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები;
- ❖ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები;
- ❖ საერთაშორისო პარტნიორები;
- ❖ ექსპერტები, აკადემიური წრეების წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები;

V. სტრატეგიული პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები

ეთნიკური უმცირესობების სრულფასოვანი ინტეგრაციისა და სამოქალაქო თანასწორობის მისაღწევად სიტუაციური ანალიზის საფუძველზე განისაზღვრა მიზნები და დაიგეგმა ამოცანები სტრატეგიული პრიორიტეტების შესაბამისად.

სტრატეგიული პრიორიტეტი 1 - სახელმწიფო ენა ინტეგრაციის მხარდასაჭერად

სახელმწიფო ენის ცოდნა ერთ-ერთი ყველაზე უმნიშვნელოვანესი წინაპირობა და აუცილებელი ფაქტორია ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების გამლიერებისა და მრავალეთნიკური საზოგადოების სრულფასოვანი ინტეგრაციისთვის. კერძოდ, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ქვეყნის განვითარების პროცესში აქტიური მონაწილეობის, მათი, როგორც მაღალი ხარისხის ადამიანური კაპიტალის განვითარების,

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, პოლიტიკური მონაწილეობის, დასაქმების, სახელმწიფო პროგრამებში ჩართვისა და სერვისებზე ეფექტური წვდომისათვის, ქვეყანაში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნოსს შორის კომუნიკაციის უზრუნველყოფისა და კულტურისა და ტრადიციების გაზიარებისთვის. სწორედ ამიტომ, ქართული ენის სწავლება სამოქალაქო თანასწორობის პოლიტიკის უპირველეს პრიორიტეტად განიხილება.

შესაბამისად, წინამდებარე სტრატეგიის პირველი პრიორიტეტი - **სახელმწიფო ენა ინტეგრაციის მხარდასაჭერად** გულისხმობს სახელმწიფო ენის სტატუსის გაძლიერებას ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებისა და საჯარო სივრცეში გამოყენების მხარდაჭერის გზით. გაგრძელდება სახელმწიფო ენის **სწავლების ხელშეწყობა**, რომელიც დამკვიდრებულ პრაქტიკასთან და მიმდინარე პროგრამებთან მიმართებით უფრო მეტად მასშტაბური, პრაგმატული, განგრძობითი, სტანდარტიზებული და წახალისებაზე ორიენტირებული იქნება როგორც ფორმალურ, ასევე ზრდასრულთა და არაფორმალური განათლების ნაწილში.

სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერების მიზნის მისაღწევად, დაისახა ამოცანები განათლების თითოეულ საფეხურზე (სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები) ასევე, ზრდასრულთა და არაფორმალური განათლების პროგრამებში, სახელმწიფო ენის სწავლების გაუმჯობესებისათვის ახალი მიდგომების დასანერგად. სტრატეგიის ფარგლებში განსაზღვრული თითოეული ამოცანა ემსახურება სახელმწიფო ენის სწავლებას ინტეგრაციის პერსპექტივიდან გამომდინარე.

2019 წელს ჩატარებული კვლევის²⁴ შედეგებმა აჩვენა, რომ მხოლოდ სახელმწიფო ენის საბაზისო საკომუნიკაციო კომპეტენციები არ არის საკმარისი სახელმწიფო ენის ცოდნის თვალსაზრისით არსებითი ცვლილებების მისაღწევად და ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების სრულფასოვანი ინტეგრაციისთვის. ამიტომ, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სტრატეგია 2022-2030-ში“ გათვალისწინებული იქნება ეთნიკური უმცირესობების განათლების პოლიტიკის ფართომასშტაბიანი, კონსოლიდირებული და ყოვლისმომცველი კონცეპტუალური ხედვა, რომელიც ეფუძნება ერთიანი კომპლექსური პოლიტიკის გატარებას და უწყვეტი საგანმანათლებლო ჯაჭვის შექმნას - დაწყებული სკოლამდელი განათლებიდან, ზოგადი, პროფესიული, უმაღლესი განათლების ჩათვლით და დასრულებული ზრდასრულთა განათლებით. დაიგეგმა კომპლექსური ღონისძიებების განხორციელება, რათა სკოლამდელი და ზოგადი განათლების ეტაპებზე დაიწყოს სახელმწიფო ენის სწავლება შესაბამისი მეთოდოლოგიით და გაუმჯობესდეს არსებული მიდგომები; სასწავლო პროგრამების, რესურსების ხარისხის (მათ შორის ქართულის, როგორც მეორე ენის სახელმძღვანელოების),

²⁴ სახელმწიფო ენის სასწავლო პროგრამის ეფექტიანობის კვლევა, ჟვანიას სკოლა, 2019 წ.

შესაბამისი კვალიფიკაციის პედაგოგებით უზრუნველყოფისა და სწავლების მეთოდის გაუმჯობესების პარალელურად ქართული ენის სასწავლო პროგრამებში განსაზღვრულია **საინტეგრაციო კომპონენტის**, როგორც გამჭოლი თემის ინტეგრირება, ასევე ქართულ ენაზე სასაუბრო პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ზრდასრული მოსახლეობისთვის, რომელთაც - სხვადასხვა ობიექტური გარემოებების გამო ვერ შეძლეს ქართული ენის შესწავლა ფორმალური განათლების სისტემაში, მაგრამ ამჟამად აქვთ სურვილი შეისწავლონ სახელმწიფო ენა, სსიპ „ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა“ როგორც საკლასო, ისე დისტანციური და ჰიბრიდული პროგრამების ფარგლებში, არსებულ სასწავლო ცენტრებისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით პედაგოგების მობილური ჯგუფების წარგზავნის საშუალებით, უზრუნველყოფს სახელმწიფო ენის სწავლების კურსის წარმართვას საჭიროებების შესაბამისად. სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის მოდიფიცირების შედეგად სკოლის მიერ მომზადდება და დაინერგება ინტეგრაციის კომპონენტი. კერძოდ, ინტეგრაციის ხელშემწყობი ისეთი პროგრამები და აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს სხვადასხვა ასაკის ადამიანებს სახელმწიფო ენის შესწავლაში, პროფესიული ლექსიკის დაუფლებაში, საკლასო ოთახის გარეთ, რეალურ სივრცეში ქართული ენის გამოყენებასა და მათ პროფესიულ სივრცეში ინტეგრაციაში, ერთობლივი პროექტების განხორციელებაში.

ამავდროულად, ძალისხმევა მიმართული იქნება ისეთი პროგრამების ინიცირებასა და განხორციელებაზე, რომლებიც ხელს შეუწყობს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში **სახელმწიფო ენის პოპულარიზაციასა** და სახელმწიფო ენის **ფუნქციონირების მხარდაჭერას** მიზნობრივი აქტივობებით: არაქართულენოვანი პირებისთვის სახელმწიფო ენის კომპეტენციების გაძლიერების მიზნით კონკურსების, ბანაკების, გაცვლითი პროგრამებისა და სხვა ღონისძიებების განხორციელებას. ასევე, ყურადღება გამახვილდება სახელმწიფო ენის გამოყენებაზე საჯარო სექტორში საქმისწარმოებისას. განხორციელდება სარეკლამო აბრებზე, შენობა-ნაგებობებსა და სავაჭრო ობიექტებზე არსებული წარწერების ზედამხედველობა. შემუშავდება და განხორციელდება საჯარო სისტემაში დასაქმებული პირებისთვის სახელმწიფო ენის შესწავლის მიზნით შესაბამისი პროგრამები. ქართული ენის შესწავლის მოტივაციის გასაზრდელად მუშაობა რამდენიმე მიმართულებით წარიმართება, კერძოდ: სახელმწიფო ენის ცოდნის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლება, წარმატებით დასაქმების პერსპექტივებისა და პროფესიული კავშირების უზრუნველყოფისთვის ენის ცოდნის მნიშვნელობის გაცნობიერება, ენის შესწავლის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება და სხვა.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში მონიტორინგი განხორციელდება საჯარო სექტორში საქმისწარმოების

სახელმწიფო ენაზე წარმართვის, სარეკლამო აბრეშუ, დაწესებულებებზე წარწერების, დასახელებების სახელწოდებების და საგზაო მარშრუტებსა და მანიშნებლებზე ქართული დამწერლობის გამოყენების მიზნით. შეფასების განხორციელების შემდგომ, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ გატარდება დამხმარე ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით სახელმწიფო ენის სრულფასოვან ფუნქციონირებას.

აღსანიშნავია, რომ იმ რეგიონებში სადაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები მჭიდროდ ცხოვრობენ, სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერებასთან ერთად, გაუმჯობესდება უმცირესობების მშობლიური ენის სწავლების ხარისხი და საჭიროებების შესაბამისად, მხარდაჭერილი იქნება ორენოვანი კადრების დასაქმებისა და თარგმანის გამოყენების შესაძლებლობები.

მიზანი 1. სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის

ამოცანა 1.1 სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერება და პოპულარიზაცია ფორმალურ განათლებაში (სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება);

ამოცანა 1.2 სახელმწიფო ენის ცოდნის გაძლიერება ზრდასრულებსა და არაფორმალურ განათლებაში;

მიზანი 2. სახელმწიფო ენის პოპულარიზაცია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში

ამოცანა 2.1. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის პოპულარიზაცია, ფუნქციონირების მხარდაჭერა და გამოყენების ზედამხედველობა.

სტრატეგიული პრიორიტეტი 2 - ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა

განათლება არის ინტეგრაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი, რომელიც დიდწილად განაპირობებს სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელ მოქალაქეთა შორის ეროვნული ფასეულობების გავრცელებასა და მათი სოციალიზაციის ხარისხს, რაც ქვეყანაში სამოქალაქო თანასწორობის კულტურის ამაღლებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს. განათლება თითოეულ მოქალაქეს შესაძლებლობას აძლევს მიიღოს შესაბამისი ცოდნა და ინფორმაცია, შეიქმნას დამოკიდებულებები და განივითაროს ის უნარ-ჩვევები, რომლებიც ხელს შეუწყობს საკუთარი პოტენციალის რეალიზებაში, ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევასა და

ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში სრულფასოვანი მონაწილეობის მიღებაში. შესაბამისად, განათლების ყველა საფეხურის - სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული, უმაღლესი, ასევე ზრდასრულთა და არაფორმალური განათლების - ხელმისაწვდომობისა და ხარისხის განგრძობადი ამაღლება წინამდებარე სტრატეგიის პრიორიტეტს წარმოადგენს.

ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად და არსებული გამოწვევების დასაძლევად საქართველოში ეთნიკური უმცირესობების განათლების ერთიანი პოლიტიკის შემუშავება უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა, რომლის ფარგლებში, უპირველეს ყოვლისა, მოიაზრება რეფორმების განმახორციელებელი ადამიანური რესურსების უზრუნველყოფა - არაქართულენოვანი სკოლების მომავალი მასწავლებლების საუნივერსიტეტო მომზადება, მოქმედი მასწავლებლების პროფესიული განვითარების პოლიტიკის შემუშავება მათი საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით, მათ მიერ სახელმწიფო ენის დაუფლების მხარდაჭერა.

ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სკოლამდელი განათლების შესაძლებლობებისა და ხელმისაწვდომობის გაფართოება მოითხოვს **შესაბამისი ინფრასტრუქტურის** განვითარებას, ხარისხიანი სკოლამდელი განათლებისთვის შესაბამისი პირობების შექმნასა და რესურსების მობილიზებას. სკოლამდელი განათლება ხელს უწყობს მოზარდების კოგნიტური, სოციალური და ლინგვისტური უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას და დიდწილად განსაზღვრავს სასკოლო მზაობას. შესაბამისად, წინასასკოლო განათლების უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია კომპლექსური ღონისძიებების განხორციელება, რათა სკოლამდელი განათლების ეტაპებზე დაიწყოს სააღმზრდელო სპეციფიკიდან სააღმზრდელო-საგანმანათლებლო მიდგომებზე გადასვლისთვის შესაბამისი მხარდაჭერი ღონისძიებების გატარება და ყველა სკოლამდელ დაწესებულებაში სასკოლო მზაობის პროგრამების სავალდებულო რეჟიმში დანერგვა.

დაიგეგმება ორენოვანი განათლების ახალი მოდელის დანერგვის გაფართოება ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების არაქართულენოვან სკოლებში, რომელიც მიმდინარეობს „ახალი სკოლის“ მოდელის პრინციპების გათვალისწინებით მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ფარგლებში. ბილინგვური განათლების სპეციფიკიდან გამომდინარე, საგნისა და ენის ინტეგრირებული სწავლების მეთოდოლოგიის გათვალისწინებით და არსებული გამოწვევების დასაძლევად, მასწავლებლები უნდა გადამზადდნენ როგორც ქართულ ენაში (ენის ფლობის დონის ასამაღლებლად), ისე - საგნობრივ მიმართულებებსა და ქართულ ენაზე საგნის სწავლების უნარების განვითარებაში. მაქსიმალური ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული მაღალი ხარისხის სახელმძღვანელოების, მათ შორის - ქართულის, როგორც მეორე ენის, ასევე მშობლიური ენის სახელმძღვანელოების შესაქმნელად.

ინტეგრაციის მიზნების მისაღწევად მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო სახელმძღვანელოები ასახავდეს საქართველოში არსებულ მრავალფეროვნებას და დაცული იყოს სტერეოტიპული თუ დისკრიმინაციული ტერმინოლოგიისგან.²⁵ ამავდროულად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მასწავლებლების ცნობიერების ამაღლება აღნიშნულ თემებზე.

სტრატეგია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს როგორც სახელმწიფო ენის მაღალ დონეზე სწავლების უზრუნველყოფას, ისე მშობლიური ენის სწავლებაზე ზრუნვას, რათა როგორც მრავალრიცხოვანი, ისე მცირერიცხოვანი ეთნოსების წარმომადგენლებს მიეცეთ საშუალება უკეთ დაეუფლონ მშობლიურ ენას, რაც ხელს შეუწყობს ამ ენების შენარჩუნებასა და განვითარებას. აღნიშნული მოითხოვს ეთნიკური უმცირესობების ენების სწავლების სტანდარტების განვითარებას, სკოლებში დასაქმებული მშობლიური ენების სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებას, ახალი კადრების მომზადებას, პედაგოგების შეფასების სისტემის დანერგვასა და შესაბამისი სასაწავლო რესურსების შექმნას. სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია სკოლამდელ და სასკოლო დონეზე პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით სრულფასოვნად ამუშავდეს აღმზრდელ-პედაგოგთა და მასწავლებელთა მომზადების, შეფასებისა და წახალისების მექანიზმები. განათლების მიმდინარე რეფორმების ეფექტიანობისათვის ინტენსიურ რეჟიმში უნდა წარიმართოს საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელი პირებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის პროფესიული განვითარება.

გადასაჭრელია განათლების მიღმა დარჩენილი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი პირების, მათ შორის შშმ და სსმ პირების, ბოშათა თემის წამომადგენლების, ოჯახის გადაწყვეტილებით ადრეული ქორწინებისა თუ შრომით საქმიანობაში ჩართვის გამო სწავლას ჩამოშორებული პირების საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ამოცანა.

სამოქალაქო თანასწორობისა და კულტურული მრავალფეროვნების პოპულარიზაცია და ხელშეწყობა პირველ რიგში ფორმალური და არაფორმალური განათლების სივრცეში უნდა მოხდეს. მნიშვნელოვანია როგორც ტოლერანტული და ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა სკოლამდელ, სასკოლო, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ასევე კულტურული მრავალფეროვნების საკითხების შეტანა სახელმძღვანელოებში, შესაბამისი პროექტების განხორციელება, მათ შორის დაწესებულებების ადმინისტრაციებისა და პედაგოგების ცნობიერების ამაღლების მიმართულებით, სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობებისა და უმრავლესობის წარმომადგენლების ერთობლივი კულტურული, საგანმანათლებლო, სპორტული პროგრამებისა და აქტივობების ორგანიზება-განხორციელება.

²⁵ Third Opinion on Georgia, p. 17, <https://rm.coe.int/3rd-op-georgia-en/1680969b56>

ეთნიკური უმცირესობების უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისთვის ტრანსფორმაციას და ახალ გამოწვევებთან ადაპტაციას საჭიროებს „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა“ (ე.წ. 1+4 საგანმანათლებლო პროგრამა).

მიზანი 3. განათლების მაღალი ხარისხისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის განათლების ყველა დონეზე

ამოცანა 3.1 სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ხარისხის უზრუნველყოფა;

ამოცანა 3.2 ხარისხიანი ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ამოცანა 3.3 ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერა პროფესიული და უმაღლესი განათლების მისაღებად;

მიზანი 4. ტოლერანტული და ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს წახალისება

ამოცანა 4.1 განათლების მიღმა დარჩენილი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი პირების (შშმ და ბოშები) საგანმანათლებლო შესაძლებლობების რეალიზების ხელშეწყობა;

ამოცანა 4.2 სამოქალაქო თანასწორობის ხელშეწყობა და კულტურული მრავალფეროვნების პოპულარიზაცია ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში.

სტრატეგიული პრიორიტეტი 3 - თანასწორობა, სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა

სამოქალაქო თანასწორობის თვალსაზრისით მიღწეული პროგრესის განგრძობადი ზრდა წინამდებარე სტრატეგიის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ხელისუფლების მიზანია დაიცვას ეთნიკური უმცირესობების თვითმყოფადობა, ხელი შეუწყოს უმცირესობების წარმომადგენლების სამოქალაქო პოზიციის და შეხედულებების საჯარო პოლიტიკურ განვითარებას, უზრუნველყოს **თანასწორობის პრინციპების ეფექტიანი რეალიზება**, მრავალეთნიკურ საზოგადოებაში ნდობის, თანამშრომლობის, შემწყნარებლობის, განსხვავებულისადმი პატივისცემისა და მიმღებლობის გაძლიერება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგია მიმართულია, ერთი მხრივ, პოლიტიკურ ცხოვრებაში ეთნიკურ უმცირესობათა ფორმალური, რაოდენობრივი თვალსაზრისით გაზრდილ წარმომადგენლობასა და მონაწილეობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, ეთნიკურ უმცირესობათა თემის და მთლიანად საზოგადოების სამართლებრივ,

პროფესიულ გაძლიერებაზე, რაც წარმატებული სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის გატარებისათვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

აღნიშნული მიზნის უზრუნველყოფა მოიცავს შემდეგ სფეროებს: ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების თაობაზე ცნობიერების ამაღლება, პოლიტიკური ჩართულობის გაზრდა, სამოქალაქო მონაწილეობის გაუმჯობესება, მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;

წინამდებარე სტრატეგიის სამოქალაქო ჩართულობის გაძლიერებაზე ორიენტირებული ამოცანების მიზანია, თანასწორი და ტოლერანტული გარემოს შექმნის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარება. აქედან გამომდინარე, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად მოიაზრება **თანაბარი საარჩევნო გარემოს განვითარება**, რომელიც ხელს შეუწყობს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მიერ გააზრებული და თავისუფალი არჩევანის გაკეთებას.

ზემოხსენებული ვრცელდება ქვეყნის თითოეულ მოქალაქეზე, მიუხედავად ეთნიკური თუ კულტურული განსხვავებულობისა. მათ შორის, მცირერიცხოვან და დისპერსიულად მცხოვრებ, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებზეც. სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში, ასევე, გათვალისწინებულია გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის პრინციპის დამკვიდრება ეთნიკურ უმცირესობათა თემებში.

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მხარდაჭერასა და საზოგადოებაში ტოლერანტული განწყობების გაძლიერების უზრუნველსაყოფად სტრატეგია მიზნად ისახავს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების ცნობიერების ამაღლებას, განურჩევლად მისი ეთნიკური კუთვნილებისა, რათა მრავალეთნიკური საზოგადოების წარმომადგენლებს სათანადოდ ესმოდეთ საკუთარი უფლებების არსი და არსებული სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოების ფარგლებში შეეძლოთ მათი რეალიზება მეტი კეთილდღეობისა და ღირსეული ცხოვრების მისაღწევად. სახელმწიფო მხარს დაუჭერს ამ მიმართულებით საინფორმაციო ხასიათის აქტივობების განხორციელებას, რათა ყველა ადამიანს შეეძლოს საკუთარი უფლებების დაცვა, ამავდროულად არც თვითონ არღვევდეს სხვის უფლებებსა და არ ეგუებოდეს მათ დარღვევას. კარგად ჰქონდეს გააზრებული საკუთარი როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში არა მარტო საკუთარი უფლებების განხორციელების, არამედ საკუთარი მოვალეობების შესრულების კუთხითაც.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების **ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით** მნიშვნელოვანია დაინერგოს და ამოქმედდეს სხვადასხვა ახალი და დამატებითი, შედეგზე ორიენტირებული მექანიზმი, ამავდროულად, გაუმჯობესდეს არსებული. ასევე, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში თვითმმართველ ორგანოებში დასაქმებული საჯარო მოხელეების პროფესიული გაძლიერება, მათი საქმიანობისთვის საჭირო ანალიტიკური და კონკრეტული პროფესიული უნარების მუდმივი განვითარება და სრულყოფა.

სტრატეგიის ფარგლებში დაგეგმილია კიდევ უფრო გაძლიერდეს და მეტად კოორდინირებული გახდეს სახელმწიფო უწყებების საქმიანობა. ამ მიზნით უნდა **გაძლიერდეს სამთავრობო კომისია და უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფები** და გაღრმავდეს თანამშრომლობა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსთან. სამთავრობო კომისიის ფარგლებში საქმიანობას მეტი ინტენსივობით გააგრძელებს თემატური სამუშაო ჯგუფები, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ სხვადასხვა საკითხის განხილვაში ჩაერთონ არასამთავრობო ორგანიზაციები, ექსპერტები და სხვა დაინტერესებული პირები. სამუშაო ფორმატი კიდევ უფრო მეტად წარმომადგენლობითი გახდება - მის საქმიანობაში წარმოდგენილი იქნებიან ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის და კახეთის რეგიონების სახელმწიფო რწმუნებულების, საზოგადოებრივი მაუწყებლისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლები.

ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მონაწილეობის გაზრდის მიზნით რეგულარული ხასიათი მიეცემა ქვემო ქართლისა და კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციებში საზოგადოებრივ-საკონსულტაციო საბჭოების საქმიანობას. მნიშვნელოვანია ანალოგიური საკონსულტაციო საბჭო ჩამოყალიბდეს სამცხე-ჯავახეთის რეგიონშიც, ასევე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების მუნიციპალურ დონეზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს უფრო ფართო მონაწილეობა და ინტენსიური კომუნიკაცია შედეგების მისაღწევად.

გენდერული თანასწორობა, გენდერული ნიშნით დისკრიმინაციასთან ბრძოლა, საზოგადოებრივი შეხედულებების ტრანსფორმაცია, ქალთა მონაწილეობის გაზრდა გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და პოლიტიკურ თუ სოციალურ-ეკონომიკურ სფეროებში იქნება მნიშვნელოვანი გამჭოლი პრიორიტეტი სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში. ქალების უფლებებისა და შესაძლებლობების შესახებ ცნობიერების ამაღლება და ინიცირებული აქტივობების მხარდაჭერა, საგრძნობლად გაზრდის მათ როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ასევე, ხელი შეეწყობა **ახალგაზრდების პოლიტიკურ მონაწილეობასა და შესაბამისი ხელშემწყობი მექანიზმების განვითარებას**. **ახალგაზრდების პოლიტიკურ-ეკონომიკურ** პროცესებში ჩართულობის გაძლიერების, სახელმწიფოებრივი აზროვნების ფორმირების ხელშეწყობისა და მათი საზოგადოებრივ საქმიანობაში გააქტიურების მიზნით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში გაიხსნება **ახალგაზრდული ჩართულობის ცენტრები**, რომლებიც ახალგაზრდებს შესთავაზებენ ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებულ, კულტურულ, სპორტულ პროგრამებს, მათთვის საინტერესო აქტივობებს, საკონსულტაციო სერვისებს, ამასთანავე, შეექმნებათ კომპიუტერთა და ინტერნეტით, სოციალური ქსელებითა და ელექტრონული ბიბლიოთეკებით სარგებლობისა და დისტანციური განათლების მიღების შესაძლებლობა. ასევე, შექმნის პერსპექტივას სხვადასხვა

ეთნოსის წარმომადგენელი ახალგაზრდებისთვის აქტუალურ საკითხებზე ერთობლივი პროგრამების განსახორციელებლად (დონორების მხარდაჭერით), რაც ხელს შეუწყობს კულტურათაშორის დიალოგსა და რეალური და მდგრადი საინტეგრაციო პროცესების წარმართვას.

არსებითი როლი ენიჭება ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან კოორდინირებული და **პროაქტიული სტრატეგიული კომუნიკაციების** წარმოებას, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბოლო წლებში მზარდი დეზინფორმაციის ფონზე, რამდენადაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები დეზინფორმაციისა და საინფორმაციო მანიპულაციების ერთ-ერთ სამიზნე სეგმენტს წარმოადგენენ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია პრევენციული მიზნობრივი ღონისძიებების გატარება. ამ მიმართულებით შეუცვლელია **მედიის** როლი, როგორც ეთნიკურ უმცირესობათა თემატიკის გაშუქებისა და მათი ჩართულობის უზრუნველყოფის, ისე სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში წარმოჩენის, ეთნიკური ჯგუფების თანასწორობისა და თვითმყოფადობის პოპულარიზაციის კუთხით. ტრადიციული და ციფრული მედია დიდ როლს თამაშობს საზოგადოებაში შეხედულებებისა და მოსაზრებების ჩამოყალიბებაში, მცდარი სტერეოტიპებისა და სწორი ინფორმაციის იდენტიფიცირებასა და ტოლერანტული განწყობების დამკვიდრებაში. ამავე დროს თანასწორობისა და თვითმყოფადობის ხელშეწყობის კუთხით, მედია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას მედია სივრცეში იხილონ მათი ყოფის ამსახველი სიუჟეტები, განიხილონ არსებული გამოწვევები, წარმოადგინონ საკუთარი შეხედულებები პრობლემების გადაჭრის გზებთან დაკავშირებით და მიიღონ ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხებზე. შესაბამისად, სახელმწიფო მედიის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის პარალელურად, გადადგამს ნაბიჯებს, ეთნიკურ უმცირესობათა საკითხებთან, თვითმყოფადობასა და მრავალფეროვნებასთან დაკავშირებით მედიის მგრძნობელობის გაზრდის კუთხით.

ამ კონტექსტში სახელმწიფო ითანამშრომლებს მედიაორგანიზაციებთან, რათა მათ ერთობლივად ხელი შეუწყონ **თანასწორობისა და ტოლერანტობის პრინციპების პოპულარიზაციას**. ამასთანავე, ეთნიკურ უმცირესობათა პოლიტიკური სოციალიზაციისა და ზოგადად სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვანია მათთვის მშობლიურ/გასაგებ ენებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და ერთიან საინფორმაციო სივრცეში ჩართვა. მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის მიმართულებით წამყვანი ფუნქცია საზოგადოებრივ მაუწყებელს აკისრია, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მიმდინარე სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების შესახებ ეთნიკურ უმცირესობათა ინფორმირებულობას, აგრეთვე საერთო ეროვნული, დემოკრატიული ფასეულობების გავრცელება-განმტკიცებას, საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდას ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებზე, ეთნიკური უმცირესობების თემატიკის გაშუქებისას მაღალი პროფესიული სტანდარტების დანერგვას.

ასევე, მნიშვნელოვანია მომზადდეს ისეთი გადაცემები, რომლებიც საქართველოს ეთნიკური მრავალფეროვნების, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ტრადიციებსა და კულტურას წარმოაჩენს. საჭიროა ხელი შეეწყოს რეგიონული მედიების განვითარებას ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში, დაიგეგმოს და განხორციელდეს ჟურნალისტებისა და მედია-ინსტიტუტების წარმომადგენელთა პროფესიული განვითარება, ასევე ჩატარდეს ცნობიერების ამაღლების კამპანიები კულტურული მრავალფეროვნების საკითხებში.

საქართველოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსახლეობის საინფორმაციო უზრუნველყოფა და ეთნიკური უმცირესობების ენებზე მედიაკონტენტის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება უკავშირდება უმცირესობების ენებზე სამაუწყებლო პროგრამებისა ელექტრონული და ბეჭდვითი მედიის გავრცელების გაფართოებასა და ხელმისაწვდომობის გაზრდას. გადაუდებელი საჭიროება დგას საინფორმაციო აქტივობების გაუმჯობესების, ეროვნული არხების სიგნალის დაფარვის არეალის გაფართოების, რეგიონული ტელევიზიების მიერ ადგილობრივი მოსახლეობისათვის გასაგებ ენაზე საკუთარი პროდუქციის შექმნის განვითარების, საქართველოს სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი ჟურნალისტების ქართველ კოლეგებთან ერთობლივი მედიაპროექტების მხარდაჭერის თვალსაზრისით.

საინფორმაციო უზრუნველყოფის გაძლიერების კუთხით დაგეგმილია საინფორმაციო გადაცემები და პროგრამები ეთნიკური უმცირესობების ენებზე: მშობლიურ ენაზე ვებპორტალებისა და ინფორმაციის თარგმანი, არაქართულენოვანი მედიის მხარდაჭერა და პროექტები, ტრენინგები მედიამუშაკების პროფესიული გაძლიერებისთვის. კარდაკარ კამპანიები ადამიანის უფლებებზე, სახელმწიფო სერვისებზე, ასევე საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის სიკეთეებისა და მიმდინარე პროცესის შესახებ.

გაგრძელდება არაქართულენოვანი გაზეთების „ვრასტანისა“ და გურჯისტანის“ გამოცემა, მათი გავრცელების არეალი გაფართოვდება.

პოლიტიკის ეფექტურობისთვის მნიშვნელოვანია გაიზარდოს ცნობიერება სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის ძირითადი პრინციპების შესახებ როგორც უმრავლესობაში, ასევე უმცირესობაში, რათა მკაფიოდ დაინახონ ინტეგრაციის აუცილებლობა, მისი დადებითი შედეგები ქვეყნისა და თითოეული მოქალაქისათვის და გააცნობიერონ აღნიშნულის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობა. ამ მიზნით, სტრატეგიის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით დასახულია მიზნები, უმრავლესობისა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებისა და ცნობიერების ამაღლების კუთხით. ღონისძიებებში ჩართული იქნება ყველა რელევანტური სფერო და მიმართულება - განათლება, კულტურა, მედია, და სხვა.

თანასწორი და ტოლერანტული გარემოს დამკვიდრების კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყანაში მოქმედი ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის ეფექტიანი

აღსრულება და ანტიდისკრიმინაციული მექანიზმების ეფექტიანი ფუნქციონირება. ბოლო პერიოდში განხორციელებულმა კვლევებმა და მონიტორინგის ანგარიშებმა ცხადჰყო, რომ ამ კუთხით მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს საზოგადოებაში ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობასა და შესაბამისი მექანიზმების შესახებ არასათანადო ინფორმაციის ფლობა. აღნიშნული კვლევების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ ყოველ მეხუთე პირს აქვს ინფორმაცია 2014 წელს სახელმწიფოს მიერ მიღებული „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონისა და შესაბამისი აღსრულების მექანიზმების შესახებ.

აუცილებელია ასევე ანტიდისკრიმინაციული მექანიზმების ეფექტიანობის გაზრდა და ხელშეწყობა, ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მოსამართლეების, პროკურორებისა და სამართალდამცავი სისტემის წარმომადგენლების, ისევე როგორც ადვოკატების, მგრძობელობის გაზრდა, სტანდარტების სრულყოფასა და საერთაშორისო მიდგომებთან თავსებადობა.

იმის გათვალისწინებით, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ცალკეულ შემთხვევაში შესაძლოა მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას საკუთარი უფლებების დასაცავად გამოიყენონ ანტიდისკრიმინაციული მექანიზმები, სახელმწიფო უზრუნველყოფს მათთვის ხარისხიან და დროულ **იურიდიულ დახმარებას**. იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროებისა და საკონსულტაციო ცენტრების მეშვეობით, რომლებიც საქართველოს მთელს ტერიტორიას ფარავს, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს გაეწევათ სამართლებრივი და იურიდიული დახმარება მათთვის გასაგებ ენაზე. ამ მიზნით საჭიროებების შესაბამისად განხორციელდება იურიდიული დახმარების სამსახურის უზრუნველყოფა დამატებითი ორენოვანი კვალიფიციური კადრებით. პარალელურ რეჟიმში წარმართება მოსახლეობის ცნობადობის ამაღლების შესახებ კამპანიები/აქტივობები აღნიშნული ორგანიზაციის შესაძლებლობებისა და სერვისების შესახებ.

ზემოაღნიშნულის მისაღწევად დასახულია შემდეგი მიზნები:

მიზანი 5. სამოქალაქო, პოლიტიკურ და საჯარო მმართველობის ყველა დონეზე მონაწილეობის გაუმჯობესება

ამოცანა 5.1 მმართველობის და თვითმმართველობის განხორციელების პროცესებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობის ხელშეწყობა;

ამოცანა 5.2 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების ეფექტიანი რეალიზების მექანიზმების განვითარება;

მიზანი 6. მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

ამოცანა 6.1 ეთნიკური უმცირესობების ენებზე მედია პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესება;

ამოცანა 6.2 მედია წიგნიერების განვითარების მხარდაჭერა;

მიზანი 7. თანასწორი და თანაბარუფლებიანი გარემოს განმტკიცება

ამოცანა 7.1 სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება ადამიანის უფლებების, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკისა და ანტიდისკრიმინაციულ და გენდერული თანასწორობის საკითხებში;

ამოცანა 7.2 მართლმსაჯულების სისტემისა და სამართალდამცავი ორგანოების მექანიზმებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, ხარისხიანი იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა.

სტრატეგიული პრიორიტეტი 4 - სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაცია

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ეფექტიანი მონაწილეობა არის სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა. სამოქალაქო ინტეგრაციის სფეროში ჯერ კიდევ არსებული გამოწვევების გამო, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ხშირად არასრულ ინფორმაციას ფლობენ ქვეყანაში ამ მიმართულებით არსებული შესაძლებლობების შესახებ. ამიტომ, განსაკუთრებული ძალისხმევა დაეთმობა ეთნიკური უმცირესობების საჭიროებების განგრძობად კვლევა-იდენტიფიცირებას, რათა დროულად და ეფექტურად მოხდეს მათზე რეაგირება და ისეთი პროგრამებისა და სერვისების განვითარება, რომლებიც უკავშირდება ჯანდაცვას, სოციალურ დაცვას, დასაქმებას, პროფესიულ გადამზადებას, სამეწარმეო საქმიანობაში ჩართვასა და თვითდასაქმების ეფექტურობის ამაღლებას. ამ კუთხით ყურადღება გამახვილდება სოციალურ-ეკონომიკური შეღავათების, შესაძლებლობების, შესაბამისი პროგრამებისა და სახელმწიფო სერვისების შესახებ ინფორმირებულობის ამაღლებაზე, მათი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მხარდაჭერ საკონსულტაციო და საგანმანათლებლო აქტივობებზე, ასევე პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაზრდაზე, ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშეწყობასა და სამუშაო ადგილების შექმნაზე.

გაძლიერდება ინკლუზიური ეკონომიკური პოლიტიკა, რაც გულისხმობს მოსახლეობის საყოველთაო ჩართულობას ეკონომიკური განვითარების პროცესში და მიზნად ისახავს საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობას, მათ სოციალურ თანასწორობასა და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

საქართველოს მთავრობა აანალიზებს რა 2020 წლის განმავლობაში COVID-19-ის პანდემიით წარმოქმნილ გამოწვევებს სხვადასხვა სფეროში, საშუალო და გრძელვადიანი პოლიტიკის

დაგეგმვისას, სხვა საკითხებთან ერთად, დიდ ყურადღებას უთმობს ეთნიკური უმცირესობების საჭიროებებს. მაქსიმალური ძალისხმევა იქნება მიმართული ეთნიკური უმცირესობებისათვის, სახელმწიფო ენაზე და უმცირესობების მშობლიურ ენებზე ინფორმაციის მიწოდებისა და სოციალურ-ეკონომიკური უფლებების უზრუნველყოფის მხარდაჭერის მიმართულებით, განხორციელდება საინფორმაციო შეხვედრები და კარდაკარ კამპანიები ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, გაგრძელდება ახალ საჭიროებებთან ადაპტირებული საინფორმაციო მასალების ალტერნატიული გზებით გავრცელება, სოციალურ-ეკონომიკური დახმარების მიზნით სხვადასხვა შეჭირვებული სოციალური ჯგუფებისთვის საკვები და ჰიგიენური პროდუქტებით უზრუნველყოფა.

სტრატეგია ეყრდნობა საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ ხელშეკრულებას, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება - „დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები” ითვალისწინებს სხვადასხვა ჯგუფებისათვის, მათ შორის ეთნიკური უმცირესობის თემებისათვის, ინკლუზიური სამუშაო ბაზრის, **სოციალური უსაფრთხოების სისტემის**, სოციალური დაცვის, სოციალური ჩართულობისა და ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის გატარებას. სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების ფარგლებში დასახულია ამოცანები, რომელთა გადაჭრა მოითხოვს ისეთი სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების განხორციელებას, რომლებიც გაზრდის ეთნიკურ უმცირესობათა კომუნიკაციას ქართულენოვან მოსახლეობასთან და სახელმწიფო ინსტიტუტებთან, აგრეთვე გააუმჯობესებს სახელმწიფოს მხრიდან შეთავაზებულ სერვისებზე წვდომას, შექმნის ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და ეკოსისტემის დაზიანების რისკების თავიდან აცილების შესაძლებლობას. სახელმწიფო უწყებები საკუთარი სექტორული სტრატეგიების შემუშავებისა და **სოციალურ-ეკონომიკური პროგრამებისა** თუ სერვისების განხორციელებისას გაითვალისწინებენ ეთნიკურ უმცირესობათა საჭიროებებსა და განსახლების რეგიონების სპეციფიკას. გაძლიერდება სოციალური დაცვის პროაქტიული მიდგომების დანერგვა, მათ შორის **ქალებისა და ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერა**, მათი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ჩართულობის გააქტიურება.

ეთნიკურ უმცირესობათა **პროფესიულ განათლებაზე** სრული და თანაბარი ხელმისაწვდომობის გაზრდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელის გაფართოების საშუალებით, პროფესიულ სასწავლებლებში ქართული ენის სწავლება, შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება, სასწავლებლებთან სტუდენტური საერთო საცხოვრებლების მოწყობა, ზრდასრული მოსახლეობის წარმომადგენლებისთვის პროფესიული გადამზადების კურსების შეთავაზება და ბაზარზე მოთხოვნადი უნარებით აღჭურვა მნიშვნელოვნად გაზრდის დასაქმების შესაძლებლობებს და შეამცირებს რეგიონებიდან ცენტრსა და მეზობელ ქვეყნებში შრომით მიგრაციას.

სტრატეგია ითვალისწინებს ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში **ინფრასტრუქტურის განვითარებას** (გზების, წყალმომარაგების სისტემების მოწესრიგება, გაზიფიკაცია) და ჯეროვანი საკომუნიკაციო საშუალებების უზრუნველყოფას (ინტერნეტიზაცია). ადგილობრივი საჭიროებების გათვალისწინებით სახელმწიფო მნიშვნელოვან ინვესტიციებს განახორციელებს შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნისა და არსებულის რეაბილიტირების კუთხით. ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციების შექმნა/რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში სხვადასხვა სახის ტურიზმის განვითარებას.

ეთნიკური უმცირესობების საჭიროებების სრულფასოვანი იდენტიფიკაციისა და სტრატეგიით გათვალისწინებული ამოცანების განხორციელებისთვის აუცილებელია როგორც მრავალრიცხოვანი ეთნოსების, ისე მცირე ეთნოსების შესახებ **სტატისტიკური მონაცემების შეგროვების**, ანალიზისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და შესაბამისი ინფორმაციის მოგროვება. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მიერ თვითიდენტიფიცირების, კონკრეტული ეთნიკური ჯგუფისადმი თავის მიკუთვნების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ითვალისწინებს ევროპის საბჭოს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტის რეკომენდაციას, რომლის თანახმად საყოველთაო აღწერის ფორმები უნდა იძლეოდეს თვითიდენტიფიცირების მრავალმხრივ და ეფექტიან შესაძლებლობას. ამ მიზნით საყოველთაო აღწერის პროცესში გადაიდგმება კონკრეტული ნაბიჯები სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლების მიერ თვითიდენტიფიცირებისა და კონკრეტული ეთნიკური ჯგუფისადმი თავის მიკუთვნების შესაძლებლობის უზრუნველყოფისთვის.

პერსონალური მონაცემების დაცვის საფუძველზე შეგროვებული რაოდენობრივი თუ ხარისხობრივი მონაცემები ნათლად წარმოაჩენს ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პოლიტიკის წარმატებულ მხარეებსა და გამოწვევებს, რომელიც ხელს უწყობს არსებული პრობლემების დროულ გამოვლენასა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა/გადასინჯვა/განხორციელებას. ასევე განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასებასა და სამოქმედო გეგმით დაგეგმილი აქტივობების/ღონისძიებების შეცვლას. შესაბამისად, სახელმწიფო სათანადო ყურადღებას დაუთმობს ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში შესაბამისი **რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემების** შეგროვებას, მათ ანალიზს, ანალიზის შედეგად იდენტიფიცირებულ საჭიროებებსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომების შემუშავება/განხორციელება/შეფასებას.

ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი **ახალგაზრდების გასაძლიერებლად** და ინტეგრაციის პროცესში მათი რესურსის ეფექტურად გამოსაყენებლად სახელმწიფოს მხრიდან დასახულია მიზანი, ხელი შეუწყოს ქვეყანაში ახალგაზრდების განათლების დონის ამაღლებას, მათში სახელმწიფოებრივი აზროვნების, აქტიური მოქალაქეობის, ლიდერობისა და

შემოქმედებითი უნარების განვითარებას. ამავდროულად, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება ქალების გაძლიერების მიზნით სახელმწიფოს სოციალური პროგრამებისა და სერვისების შესახებ ინფორმაციის კიდევ უფრო პროაქტიულ მიწოდებაზე, სხვადასხვა პროგრამაში მათი მონაწილეობის წახალისების მიზნით. აღნიშნულ კონტექსტში დიდ მნიშვნელობას იძენს მათთვის მეტი სოციალური ფუნქციის მინიჭება, რათა ამაღლდეს კონკურენტუნარიანობის დონე დასაქმების ბაზარზე, პოლიტიკურ და სამოქალაქო პროცესებში შეძლონ საკუთარი პოტენციალის რეალიზება და კეთილდღეობის მიღწევა.

სტრატეგიის ფარგლებში, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერა მოიცავს ქალების ეკონომიკური უფლებების დაცვას, მათ შორის, მიწის, ქონების, აქტივებისა და სხვა რესურსების თანაბარ ხელმისაწვდომობას, ასევე სამეწარმეო უნარების განვითარებას. განხორციელდება ღონისძიებები, რომლებიც ქალებს შესაძლებლობას მისცემს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ საკუთარი ეკონომიკური უფლებების დაცვაში, რითაც წვლილს შეიტანენ დემოკრატიის განვითარებაში. ქალთა ეკონომიკური გაძლიერება მნიშვნელოვან დატვირთვას იძენს გენდერული თანასწორობის მიღწევის პროცესშიც.

ამასთანავე, ყურადღება გამახვილდება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების საჯარო სამსახურებში დასაქმების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე.

საჯარო სამსახურში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების ჩართვის, საქმიანი უნარების განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით განვითარდება ე.წ. „1+4 სტაჟირების პროგრამის“ შესაძლებლობები.

მიზანი 8. სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების გაუმჯობესება

ამოცანა 8.1 სახელმწიფო სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამებში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის გაზრდა;

ამოცანა 8.2 ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ინფრასტრუქტურის განვითარება;

ამოცანა 8.3. ქალებისა და ახალგაზრდების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერა;

ამოცანა 8.4 ეთნიკური უმცირესობების, მათ შორის მცირე ეთნოსების პერსონალური მონაცემების დაცვისა და თვითიდენტიფიცირების საფუძველზე სტატისტიკური მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

სტრატეგიული პრიორიტეტი 5 - კულტურათაშორისი დიალოგი

წინამდებარე სტრატეგია სოციალურ-კულტურულ ინტეგრაციას განიხილავს საერთო ეროვნული ღირებულებებისა და პრინციპების შექმნის ქმედით მექანიზმად, რაც მნიშვნელოვან პოზიტიურ გავლენას მოახდენს ქვეყანაში როგორც დემოკრატიული, ისე ინტეგრაციული პროცესების მიმდინარეობაზე.

სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესების ეფექტურად წარმართვის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს კულტურული ფასეულობებისა და იდენტობის დაცვა, განურჩევლად ეთნიკური კუთვნილებისა, კულტურული მრავალფეროვნების პოპულარიზაცია და პატივისცემა. მრავალფეროვნებასა და პლურალიზმზე დაფუძნებული საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა დიდწილად განსაზღვრავს დემოკრატიულობის ხარისხსა და გაძლიერებას. მულტიკულტურული და ტოლერანტული გარემოს განმტკიცების ხარისხს კულტურათაშორისი დიალოგის ეფექტურობა განაპირობებს, რომელიც ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული თვითმყოფადობის შემადგენელი ელემენტების - ენის, კულტურული და რელიგიური ტრადიციების, კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენასა და პოპულარიზაციას, ასევე სხვადასხვა ეთნოკულტურას შორის კომუნიკაციას უკავშირდება. კულტურული მრავალფეროვნებისა და თვითმყოფადობის ჯეროვნად დაცვისა და ხელშეწყობის კუთხით, აუცილებელია ეთნიკური ჯგუფების მიმდინარე საჭიროებების კვლევის შედეგებისა და ანალიზის საფუძველზე პოლიტიკის განხორციელების ამოცანების სრულყოფა.

მოზარდობის ასაკიდან ინფორმაციის მიწოდება და ცნობიერების ამაღლება, როგორც ეთნიკური უმრავლესობის წარმომადგენლებისათვის, ისე ეთნიკური უმცირესობის თვითმყოფადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე: ეთნიკური ჯგუფების ენის, კულტურის, რელიგიის, ტრადიციების შესახებ, ხელს შეუწყობს საზოგადოებაში შემწყნარებლობის, განსხვავებულისადმი მიმღებლობის განვითარებას, რაც საბოლოოდ, ქვეყანაში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსის ჰარმონიული თანაცხოვრების წინაპირობას წარმოადგენს. აღნიშნული პროცესი გულისხმობს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის უმრავლესობის და სხვა ეთნოსების კულტურისა და ტრადიციების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასაც. ამ მიზნით სტრატეგიის ფარგლებში განსაზღვრულია კულტურულ თვითმყოფადობასა და ტრადიციებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული მრავალფეროვანი ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის ერთობლივი კულტურულ-სოციალური აქტივობები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის მონაწილეობით.

კულტურათაშორისი დიალოგის განვითარება მრავალეთნიკურ საზოგადოებაში წახალისებს ნდობას, თანამშრომლობას, შემწყნარებლობას, განსხვავებულისადმი პატივისცემასა და მიმღებლობას. საზოგადოებაში ტოლერანტული განწყობების გაძლიერების მიზნით კომპლექსური პოლიტიკის გატარება მოიცავს საქართველოს კულტურული

მრავალფეროვნების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, სხვადასხვა კულტურული, შემეცნებითი, საგანმანათლებლო, გასართობი, სპორტული ღონისძიების განხორციელებას, ეთნიკურ უმცირესობათა მატერიალური და არამატერიალური კულტურული ფასეულობების დაცვასა და განვითარების ხელშეწყობას. სტრატეგია ითვალისწინებს ინტერკულტურული საგანმანათლებლო საქმიანობის წახალისებას, რაც მოიაზრებს როგორც ქართული კულტურის უკეთ გაცნობას ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების მიერ, ასევე სხვადასხვა ეთნოსის კულტურის გაცნობას ქართული საზოგადოების წარმომადგენლების, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის, ასევე ერთობლივი კულტურულ-საგანმანათლებლო და ეთნოსისთვის დამახასიათებელი ტრადიციული სპორტული აქტივობების განხორციელებას.

კულტურათაშორისი დიალოგის ფარგლებში ამოცანები ისე განისაზღვრა, რომ მრავალმხრივი მიდგომებით ხელი შეუწყოს სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს შორის პოზიტიური კომუნიკაციის გაღრმავებასა და ჯერ კიდევ არსებული ბარიერების დაძლევა. ეთნოკულტურების გაზიარება და თანაკვეთა შექმნის სხვადასხვა კულტურის დამაკავშირებელ ხიდს. სახელმწიფო ძალისხმევას მიმართავს კულტურათაშორისი დიალოგისა და მრავალეთნიკური თანამშრომლობის გასაძლიერებლად. ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული ტრადიციების ხელშეწყობა არ შემოიფარგლება მხოლოდ მათი დაცვით, არამედ ბიძგს მისცემს მის განვითარებასა და თანამედროვე კულტურულ მიღწევებთან დაახლოებას. ერთობლივი სპორტული და კულტურული აქტივობების რეგულარული განხორციელება დაეხმარება სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ერთმანეთთან და უმრავლესობის წარმომადგენლებთან დაახლოებას, ღირებულებების, ცოდნისა, გამოცდილების გაზიარებას, სხვადასხვა ეთნოსისთვის დამახასიათებელი წეს-ჩვეულებების გაცნობას, თვითგამოხატვასა და ტოლერანტობის გაძლიერებას, რასაც შედეგად კულტურათაშორისი კომუნიკაციისა და ინტეგრაციის გაძლიერება და ჰარმონიული თანაარსებობა მოჰყვება.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის მიზნით, ინტენსიურ რეჟიმში გაგრძელდება ეთნიკურ უმცირესობათა მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის აღრიცხვისა და ინვენტარიზაციის პროცესი, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების რესტავრაცია-კონსერვაცია, ასევე, თეატრების, მუზეუმების, ბიბლიოთეკების საქმიანობისა და სხვადასხვა კულტურული ღონისძიების მხარდაჭერა.

ეთნიკურ ჯგუფებს შორის დიალოგისა და სოლიდარობის განმტკიცების მიზნით, ხელი შეეწყობა საერთო კულტურული და სპორტული სივრცეების მოწყობას, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებას.

კულტურული თვითმყოფადობის დაცვისა და განვითარების ამოცანა ასევე მოიცავს ისეთ აქტივობებს, როგორცაა: ლიტერატურის, ფოლკლორის, მუსიკის პოპულარიზაცია და სომხური, აზერბაიჯანული და რუსული თეატრებისა და მუზეუმების, კულტურული ღონისძიებების, მათ შორის გამოფენების/პუბლიკაციების დაფინანსება. აღნიშნული მიზნის

შესრულებითვის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სპორტული და კულტურული ინფრასტრუქტურის განვითარება, ბიბლიოთეკების, კლუბების, სპორტული სივრცეებისა და კულტურის სახლების/ცენტრების ფუნქციონირებისა და განვითარების მხარდაჭერა, მულტიკულტურული და ინტერკულტურული აქტივობები, სახელოვნებო და სპორტული ღონისძიებების ორგანიზება, ეთნიკური ფოლკლორის, ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების პოპულარიზაცია, მნიშვნელოვანია.

მიზანი 9. კულტურული მრავალფეროვნებისა და კულტურათაშორისი დიალოგის მხარდაჭერა

ამოცანა 9.1 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია;

ამოცანა 9.2 კულტურული მრავალფეროვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება და კულტურათაშორისი დიალოგის ხელშეწყობა;

ამოცანა 9.3 მასობრივი ინტერკულტურული სპორტისა და მულტიკულტურალიზმის მხარდაჭერა და შესაბამისი სივრცეების/ინფრასტრუქტურის განვითარება.

VI. სტრატეგიის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება

6.1. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელება

2021-2030 წლების სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის ეფექტურად განხორციელების მიზნით შექმნილია სამთავრობო კომისია, რომლის მიზანია უზრუნველყოს სახელმწიფო უწყებების საქმიანობის კოორდინაცია სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის მიმართულებით. სამთავრობო კომისია რეგულარულად წელიწადში ორჯერ იკრიბება. ამავდროულად, საჭიროებიდან გამომდინარე გათვალისწინებულია სამუშაო სხდომების, შეხვედრებისა და კონსულტაციების გამართვა. საკითხების აქტუალობიდან გამომდინარე სამთავრობო კომისია მოიწვევს თემატური სამუშაო ჯგუფის შეხვედრებს, რომელებშიც მონაწილეობას მიიღებენ, როგორც სახელმწიფო უწყებების, ასევე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და თემით დაინტერესებული პირები.

სამთავრობო კომისიის შემადგენლობაში შედიან: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი (კომისიის თავმჯდომარე) და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებათა დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში (კომისიის წევრი), საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე (კომისიის წევრი), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე (კომისიის წევრი), საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე (კომისიის წევრი), საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე (კომისიის წევრი), საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე (კომისიის წევრი), საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე (კომისიის წევრი), საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე (კომისიის წევრი), საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე (კომისიის წევრი), საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე (კომისიის წევრი), საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე (კომისიის წევრი), სახელმწიფო რწმუნებული, რომლის სამოქმედო ტერიტორია მოიცავს ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალურ საზღვრებს (კომისიის წევრი), სახელმწიფო რწმუნებული, რომლის სამოქმედო ტერიტორია მოიცავს ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს (კომისიის წევრი), სახელმწიფო რწმუნებული, რომლის სამოქმედო ტერიტორია მოიცავს ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებს (კომისიის წევრი).

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების კოორდინაციის მიზნიდან გამომდინარე, სამთავრობო კომისიას გააჩნია შემდეგი უფლებამოსილებები: ა) სახელმწიფო უწყებებისა და ორგანიზაციებისაგან მოითხოვოს და მიიღოს კომისიის საქმიანობისათვის აუცილებელი ინფორმაცია; ბ) კომისიის სხდომაზე (მათ შორის, ხმის უფლებით) მოიწვიოს სახელმწიფო უწყებებისა და ცალკეული ორგანიზაციების წარმომადგენლები; გ) კომისიის კომპეტენციაში შემავალი საკითხების შესწავლისა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, შექმნას სამუშაო ჯგუფები და საკონსულტაციო-თემატური ჯგუფები შესაბამისი სახელმწიფო უწყებების, ორგანიზაციებისა და დამოუკიდებელი ექსპერტების მონაწილეობით; დ) მოამზადოს წინადადებები კომისიის შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სტრატეგიის განხორციელების ძირითადი ინსტრუმენტია ყოველწლიური სამოქმედო გეგმები, რომლებსაც შეიმუშავებენ განმახორციელებელი დარგობრივი უწყებები. სტრატეგია განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით, ასევე საერთაშორისო დონორი

ორგანიზაციებისა და პარტნიორი ქვეყნების ფინანსური მხარდაჭერით. განმახორციელებელი უწყებების არსებული რესურსების სტრატეგიის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სტრატეგიის მიზნები და ამოცანები განსაზღვრულია ზოგადი სახით და ჩართულ მხარეებს საშუალებას უტოვებს გადაანაწილონ და განახორციელონ ისინი წლიური სამოქმედო გეგმის ფარგლებში იმ მოცულობით, რის საშუალებასაც მათ არსებული სახელმწიფო რესურსები და დონორების დახმარება მისცემს. სამთავრობო კომისიის წევრი უწყების ინიციატივის საფუძველზე შესაძლებელია სტრატეგიაში ცვლილებების შეტანა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სტრატეგიის განმახორციელებელი დაწესებულების (უწყების) რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და სხვა დაწესებულებასთან (უწყებასთან) შერწყმისან რამდენიმე უწყებად გაყოფის შემთხვევაში, სტრატეგიის შესაბამისი ამოცანების შესრულებას უზრუნველყოფს მისი უფლებამონაცვლე დაწესებულება (უწყება).

6.2. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დანერგვის მიმდინარეობის, ეფექტურობისა და ეფექტიანობის შესახებ ინფორმაციის მიღების, საჭირო ინტერვენციების დროულად განხორციელებისა და შეფასების მიზნით წარმართება **სტრატეგიის მონიტორინგისა და შეფასების პროცესი**, რომლის მიზანია რეგულარულად შეაგროვოს ინფორმაცია ამოცანების შედეგების შესახებ მიღწეულ პროგრესთან და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელებასთან დაკავშირებით.

მონიტორინგის სისტემა ისეა დაგეგმილი, რომ უზრუნველყოფილი იყოს ანგარიშვალდებულების მაღალი დონე და პასუხისმგებელი უწყებების მიერ აქტივობების იმპლემენტაციის პროცესის ეფექტურობა. სტრატეგიის ლოგიკური ჩარჩოს ნაწილში წარმოდგენილია თითოეული სტრატეგიული მიზნისა და ამოცანის შეფასებისთვის გავლენისა და შედეგის ინდიკატორები, რომლებიც დაფუძნებულია ობიექტურად დამოწმებად წყაროებზე. მონიტორინგის პროცესში მიღებული მონაცემები დამუშავებული და ასახული იქნება აქტივობების განხორციელებისა და ამოცანების შედეგების ინდიკატორებთან მიმართებით.

მონიტორინგის პროცესი ითვალისწინებს სახელმწიფო უწყებებისგან მიღებული ინფორმაციის, ასევე სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა აქტორების მიერ სტრატეგიის/სამოქმედო გეგმის განხორციელებასთან მიმართებით მომზადებული მონიტორინგის შედეგების, კვლევებისა და რეკომენდაციების ანალიზს.

მონიტორინგის პროცესს, რომელიც წარმართება სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის პარალელურად, კოორდინაციას გაუწევს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებები და ორგანოები უზრუნველყოფენ ინფორმაციისა და ზუსტი მონაცემების მოპოვებას, მათ კლასიფიკაციასა და კატეგორიებად დაყოფას, რის საფუძველზეც ექვს თვეში ერთხელ მოამზადებენ სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების სტატუს-ანგარიშებს.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინაციით, პასუხისმგებელი უწყებების სტატუს-ანგარიშების კონსოლოდაციის საფუძველზე მომზადდება ორი დოკუმენტი: პროგრეს-ანგარიში ამოცანებისა და შედეგების ინდიკატორებთან მიმართებით და სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში, რომელიც სამთავრობო კომისიას განსახილველად წარედგინება და გასაჯაროვდება სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებ-გვერდზე - www.smr.gov.ge. ანგარიში ასევე წარედგინილ იქნება სახალხო დამცველთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის მიღწეული პროგრესის შესახებ ინფორმირების მიზნით. მონიტორინგის წლიური ანგარიში ასევე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი კონკრეტული უწყებების საქმიანობის ეფექტურობისა და ეფექტიანობის, ძირითადი პრობლემების შესახებ ინფორმირებისა და პროცესში შესაძლო ჩარევის საჭიროების თაობაზე ინფორმაციის მისაღებად.

სტრატეგიის შეფასება განხორციელდება მიზნებისა და გავლენის ინდიკატორების დონეზე. ვინაიდან სტრატეგია გათვლილია 10 წლის ვადაზე, დაგეგმილია სტრატეგიის ორი შუალედური შეფასება, რომელიც 2024 და 2027 წლებში განხორციელდება, საბოლოო შეფასება კი - სტრატეგიის განხორციელების პერიოდის ბოლოს - 2030 წელს განისაზღვრა. შეფასებები განხორციელდება გარე შეფასების ფორმით, დამოუკიდებელი ექსპერტებისა და საექსპერტო/კვლევითი ორგანიზაციების მიერ, ასევე ადგილობრივი არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციების, ექსპერტებისა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების აქტიური ჩართულობით.

სამთავრობო კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება რომელ პრიორიტეტებთან/მიზნებთან მიმართებაში, განხორციელდეს სტრატეგიის შუალედური შეფასებები. აღნიშნულ გადაწყვეტილებას კომისია მიიღებს მონიტორინგის წლიური ანგარიშების განხილვის საფუძველზე, იმის მიხედვით, თუ რომელი კონკრეტული მიმართულებით იკვეთება გამოწვევები ან გამოხატულია მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი.

თითოეული შუალედური შეფასების დროს მიღწევების დინამიკის შესწავლასთან ერთად მნიშვნელოვანია განხორციელდეს დროში შეცვლილი გარემოებებისა და კონტექსტის გათვალისწინებით ამოცანებისა და ხედვის აქტუალობის შეფასება. შუალედური და საბოლოო შეფასების პროცესში შემუშავებული და გამოყენებული იქნება კრიტერიუმები მიზნებისა და

ამოცანების შესაბამისად. ანგარიშების მომზადებისას დაცული იქნება დროულობის, ფოკუსირებულობის, რელევანტურობის, მკითხველზე ორიენტირებულობის პრინციპები. სტრატეგიის განხორციელების შედეგებისა და ზეგავლენის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისთვის, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სამეცნიერო წრეების, კერძო სექტორის წარმომადგენლებისა და სფეროს ექსპერტებისთვის.

მონიტორინგის, წლიური და შუალედური შეფასების შედეგებიდან მიღებულ ინფორმაციას დაეფუძნება სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით დასახული ამოცანებისა და აქტივობების ფარგლებში მიღწეული შედეგების ურთიერთზეგავლენის შედარებითი ანალიზი, რაც საშუალებას მოგვცემს დავინახოთ სტრატეგიის იმპლემენტაციის დინამიკა, მოვახდინოთ არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება. პოლიტიკის განვითარების, მისი ეფექტიანი განხორციელებისა და არსებულ მიდგომებში ცვლილებების შეტანის მიზნით, სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ სტრატეგიის იმპლემენტაციის პროცესში ჩართული პასუხისმგებელი უწყებებისათვის მომზადდება შესაბამისი რეკომენდაციები ახალი გადაწყვეტილებების ინიცირებისთვის.

სტრატეგიის საბოლოო შეფასების მიზანი მიღწეული შედეგების გაზომვა, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა და შემდგომი წლების სტრატეგიის შემუშავებისთვის საფუძვლის მომზადებაა.

სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესრულების და მონიტორინგის ყოველწლიური ანგარიშების გათვალისწინებით სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ მომზადდება სტრატეგიის განხორციელების შუალედური და დასკვნითი შეფასების დოკუმენტები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება სახელმწიფო მინისტრის აპარატის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.smr.gov.ge.

6.3. მონიტორინგისა და შეფასების კალენდარი

მონიტორინგისა და შეფასების ფორმა	ანგარიშების თარიღი/პერიოდულობა	შეფასების/მონაცემების შეგროვების განმახორციელებელი	პასუხისმგებელი უწყება
წლიური ანგარიში	2022 წლის I კვარტალი 2023 წლის I კვარტალი 2024 წლის I კვარტალი 2025 წლის I კვარტალი 2026 წლის I კვარტალი 2027 წლის I კვარტალი 2028 წლის I კვარტალი 2029 წლის I კვარტალი 2030 წლის I კვარტალი	სამთავრობო კომისია შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	სამთავრობო კომისია
შუალედური შეფასება	2024 წლის I კვარტალი 2027 წლის I კვარტალი	დამოუკიდებელი ექსპერტები	სამთავრობო კომისია
საბოლოო შეფასება	2031 წლის I კვარტალი	დამოუკიდებელი ექსპერტები	სამთავრობო კომისია

6.4. სტრატეგიის განხორციელების რისკ-ფაქტორები

სტრატეგიის განხორციელების შემაფერხებელ რისკფაქტორებად შესაძლოა განხილულ იქნას: საერთაშორისო/რეგიონული პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა და სხვა ფორს-მაჟორული ვითარება, რაც ნეგატიურად აისახება ქვეყნის ფინანსურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. თუმცა, ახლო წარსული მოწმობს, რომ ქვეყანაში თუ მის ფარგლებს გარეთ განვითარებულმა ნეგატიურმა მოვლენებმა/პროცესებმა ვერ შეაფერხა ან სერიოზული

საფრთხე ვერ შეუქმნა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას.

ასეთივე მნიშვნელოვან რისკფაქტორს, რომელსაც განკერძოებულად და კონკრეტულად შეიძლება ხაზი გავუსვათ, არის COVID-19-ის პანდემიის გამო შექმნილი მძიმე ეპიდემიოლოგიური ვითარება და მისი გავრცელების პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვები, ისევე როგორც, პანდემიის ნეგატიური შედეგები ეკონომიკური და სოციალური კუთხით.

პროგნოზირებული რისკების ანალიზის საფუძველზე სამოქმედო გეგმაში განხილულია როგორც საბაზისო აქტივობები, ისე პანდემიის პირობებში ეკონომიკური განვითარების პესიმისტური სცენარის საპასუხოდ, მოსახლეობის ინფორმირებისა და სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერის აქტივობებიც. შესაბამისად, აღნიშნული სამოქმედო გეგმის საფუძველზე მოხდება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შედგენა და დაგეგმილი ღონისძიებების შეფერხების გარეშე განხორციელება.

რისკების შემცირებისა და ეფექტიანი მართვის მიზნით პერიოდულად ჩატარდება სტრატეგიის განხორციელებასა და შესრულების ანალიზში ჩართული უწყებების კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებები, მათ შორის, ანალიტიკური შესაძლებლობების განვითარების კუთხით.